# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 ნოემბერი 2003 №209 (1980) ფასი 50 თეთრი




გოჩა მოლობრიშვილის ფოტო

ლიკა ქაჯაია

# ქალსაც მოხვდა! კაცსაც, რა თქმა უნდა

ამ ჩხუბებმა და აყალმაყალებმა ხომ სულ დააჭიანა ისედაც ჩია ქართული კალათბურთი. ვერა და ვერ ამოიძირკვა ეს სენი ვერის ბაღიდან და ალბათ ვერც ამოიძირკვება, სანამ უმსგავსო საქციელი პრინციპულობაზე და არასიმბოლურ სასჯელზე არ წაიტეხს კისერს.

ამ შაბათსაც იყო ვერის ბაღში გაწევ-გამოწევა და ხელის გაქნევა. ეს არც პირველი იყო და არც უკანასკნელი იქნება, მაგრამ საწყენი ისაა, რომ ხელი ქალსაც მოხვდა. „დინამო" — სსუ-ს 1 ნოემბრის მატჩში ერთმანეთში წაკიდებულ დინამოელ დავით მუშკუდიანსა და სსუ-ელ ვანო აბულაძეს შუა გასაშველებლად ჩამდგარი ქალი, არბიტრი ლიკა ქაჯაიაც ვერ ამოვიდა წყლიდან მშრალი. მოთამაშისთვის მოქნეული მუშტი მას მოხვდა და ქაჯაიაც იძულებული გახდა, დაჟეჟილი სახე ყინულით დაეამებინა.

ამის მერე, აბა, ვის გაუკვირდება მერაბ მალაღურაძის თავს გადახდენილი ამბავი: საქართველოს ფეხბურთელთა ჩემპიონატის მე-15 ტურის „ვიტ ჯორჯია" — „დინამოს" ცენტრალურ მატჩში არბიტრი მალაღურაძე დინამოელებმა მინდორზე დასცეს და წიხლიც მიაყოლეს.




ბადრი ქეთილაძის ფოტო

წაქცეულმა მერაბ მალაღურაძემ თავი შეიკავა: არავინ დასაჯა

# დიდფულა დიდგულაა
## ჩელსი ლაციოს არ ელაციცება




REUTERS რომიდან

კლაუდიო რანიერი



რომან აბრამოვიჩი



# მიხეილ აშვეთია: ახლა ვატანინებ, მერე გამატანინებენ

*ამ შაბათ-კვირას რუსული პრემიერლიგა დასრულდა — არსებობის მანძილზე ალბათ, ყველაზე სკანდალური და ხმაურიანი, ათასგვარ გარიგებასა და ჩაწყობებში მხილებული პრემიერლიგა მომავალ გაზაფხულამდე დაემშვიდობა ფეხბურთს. ამ ამბებმა მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივიც" შეიწირა. რკინიგზულ კლუბს ბოლო ტურამდე შეეძლო სამეულში მოხვედრა, თუმც საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა*

პრემიერლიგა დასრულდაო, ვთქვით, მაგრამ „ლოკომოტივისთვის" სეზონი კიდევ ერთ თვეს გაგრძელდება — იური სიომინის გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. მოსკოველებს ახლა რთული გამოცდა ელით მილანში, ალბერტო ძაკერონის „ინტერთან". იტალიაში გუნდს ორივე ჩვენებური, მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი მიჰყვებიან...

ჩვენც მანამდე ***მიხეილ აშვეთიას*** მოსკოვში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.

**— როგორი იყო მიხეილ აშვეთიასთვის ეს ჩემპიონატი?**

— ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო ჩემს კარიერაში. პირველ წრეს თუ არ ჩავთვლით, როცა „სპარტაკ-ალანიაში" ვიყავი, საერთო ჯამში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. მგონი, „ლოკომოტივში" ნორმალური დებიუტი მქონდა.

**— რუსეთში ჩაწყობილ-გარიგებულ მატჩებზე ბევრი ლაპარაკია...**

— „ლოკომოტივს" ერთი მატჩიც არ ჩაუწყვია. ასე რომ ყოფილიყო, მეოთხე ადგილზე კი არ გავიდოდით, ალბათ, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებდით. მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ხმები ნამდვილად არის.

**— ფაქტი ისაა, რომ, რუსების აზრით, ჩაწყობილმა თამაშებმა ყველაზე მეტად სწორედ „ლოკომოტივი" აზარალა, რომელიც საპრიზო ადგილის გარეშე დარჩა...**

— ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ. რასაც ამბობდნენ, სამწუხაროდ, ყველაფერი ისე მოხდა, მაგრამ არ მინდა, ასე ზეპირად რამე დასკვნა გავაკეთო. ჯობს, კომენტარისგან თავი შევიკავო.

**— ხელმძღვანელობა შედეგით კმაყოფილი დარჩა?**

— ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილოც არავინ ყოფილა. მე რომ „ლოკომოტივში" გადავედი, გუნდს ძალიან უჭირდა, ცხრილის შუაში იყო. მერე ავთამაშდით და მეორე ადგილზე გასვლის შანსიც გვქონდა. სამწუხაროდ, ამდენი ველარ შევძელით. გული ყველას დასწყდა — ჩვენც და ხელმძღვანელობასაც.

**— ისე გამოვიდა, რომ მესამე ადგილზე გასვლაც ვერ შეძელით და თან ბოლო ტურში ელისტის „ურალანი" იმსხვერპლეთ...**

— ჩვენთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ამას. ვითამაშეთ და 6:0 მოვიგეთ. მართალია, ეს სამი ქულა არ დაგვჭირდა და „ურალანიც" გავარდა, მაგრამ ეს ერთხელაც ადასტურებს იმას, რომ ჩვენ თამაში არ ჩაგვიწყვია.

**— პრემიერლიგის ბომბარდირი შენი თანაგუნდელი დმიტრი ლოსკოვი გახდა 14 გატანილი გოლით...**

— ბოლო ტურში მთელი გუნდი ლოსკოვზე თამაშობდა. გვინდოდა, მას დავხმარებოდით და მიხარია, რომ საბოლოოდ ბომბარდირი სწორედ იგი გახდა.

**— სხვა რამ ვიგულისხმე: 14 გოლი 30 თამაშში ხომ არ გეცოტავება?**

— ეტყობა, რუსეთში თავდამსხმელების დეფიციტია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, რუსულ პრემიერლიგაში ბომბარდირმა 20 გოლზე ნაკლები არ უნდა გაიტანოს. მომავალ სეზონში საამისოდ მეც ვიბრძოლებ.

**— ჩემპიონთა ლიგაზე გადავერთოთ. „ინტერთან" მოახლოებულ მატჩზე რას იტყვი?**

— ძალიან გაგვიჭირდება. აგერ, ბოლო ტურში „ურალანთან" თავი უგოლოდ შევინახე, იმედი მაქვს, ამ რეზერვს იტალიელებთან გამოვიყენებ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

**— და სერიოზულად?**

— „ინტერს" ჩვენზე უკეთესი შანსი აქვს. რთული თამაში გველის, მაგრამ ჩვენც კარგ ფორმაში ვართ. ბოლო სამ მატჩში 14 გოლი გავიტანეთ, რაც ცოტა არ არის.

**— ჩემპიონთა ლიგაც მალე დამთავრდება და თქვენც შვებულებაში გახვალთ. რუსულ პრესაში ხშირია ინფორმაციები, რომ „ლოკომოტივის" რამდენიმე ფეხბურთელს ევროპული კლუბები იწვევენ...**

— ეს საკითხი ასე მწვავედ ჯერ არ დგას. თუ კარგი წინადადებები იქნება კლუბის ხელმძღვანელობა ამ ბიჭებს ალბათ, არ შეაფერხებს.

**— ჩემპიონთა ლიგაში კარგი თამაშით შენც შეგიძლია ძლიერი გუნდების „მოთაფვლა"...**

— შემოთავაზებები არის, მაგრამ ამაზე ახლა ნაღდად არ ვფიქრობ. მომბეზრდა აქეთ-იქით ხეტიალი. „ლოკომოტივში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და თუ რამე სერიოზული არ მოხდა, სხვაგან გადასვლაზე არც ვფიქრებ.

**ძაზა შალამბერიძე**

# ფრეისტორია

თბილისი. 3 ნოემბერი. 15 საათი. ეროვნული. 250 მაყურებელი

## ამერი 1:1 ვიტ ჯორჯია-მცხ.

0:1 ცხომარია (30), 1:1 რუსია (45)

**ამერი:** ასლანიძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე (ნიკოლაიშვილი 57), გარუჩავა, ვერემჩუკი, მჭედლიშვილი (ბერიანიძე 36), კილასონია, რუსია (წინამძღვრიშვილი 67), გოცირიძე

**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**ვიტ ჯორჯია-მცხ:** მუჯრიშვილი, ბეროშვილი, ხოზაშვილი, თალაშვილი, ლომაია, ინჯგია, მანჯავა, ცხომარია (გელაშვილი 59), კვახაძე, ბეჟვაია (მეტრეველი 70), ადეიშვილი (სამსიანი 46)

**მწვრთნელი:** ირაკლი უშვერიძე

**გაფრთხილება:** ჩიხრაძე (51), გელაშვილი (66)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ა. ნონიკაშვილი, ვ. ელისაბედაშვილი; ა. მეშკოვი

**პაპუნა კედია**

„ამერმა" ზედიზედ მესამე ფრე რომ ითამაშა, გონებაში უნებურად გაჩნდა კითხვა: ნეტავ ეს რაიმე ტენდენციაზე ხომ არ მიგვანიშნებს? მართლაც, რას შეიძლება ნიშნავდეს ზედიზედ სამი ფრე, ვერ იგებ თუ არ აგებ? ქულებს კარგავ თუ აკარგვინებ? თან უნდა აღინიშნოს, რომ ყვითლებს სამივე მატჩი რიგიან მოწინააღმდეგეებთან ჰქონდათ („სამგურალი", „ოლიმპი", „ვიტ ჯორჯია"). ესე იგი, ისინი მეტოქეებს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ ასეთი მენტალიტეტით ცხოვრებას ხომ არც ერთ გუნდს არ უსურვებს კაცი. რას მიქვიან წინააღმდეგობის გაწევა, იქით სცადონ და გაგიწიონ ხომ? ასე უნდა ფიქრობდეს ყველა და მაშინ გვექნება კარგი ჩემპიონატი.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, ნიშნავს ეს სამი ფრე რამეს თუ არა? ვიფიქრეთ ამ უნებურად წამოჭრილ კითხვაზე, ვიფიქრეთ და დავასკვენით, რომ ამწუთას ეს სამი ფრე სამ ფრეს ნიშნავს და მეტს არაფერს. მაინც რატომ? იმიტომ, რომ გუნდი ჯერ თვითონ უნდა ჩამოყალიბდე, ხოლო ფრეებისადმი პოზიცია მერე გამოიკვეთება. მაგალითად, როდესაც „რეალი" ხარ, ნათელია: სამი ფრე ცუდია. როდესაც ვილაც მაჩანჩალა ხარ, ნათელია: სამი ფრე ბრწყინვალეა.

და როდესაც „ამერი" ხარ, ეს ნიშნავს, რომ ხარ ძალიან კარგი ტენდენციის და ბევრი თვალსაჩინო პლუსის მქონე გუნდი (რომელმაც თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ფეხბურთელების ნახევარი 15 წლისა გყავს და ჯერ აურა არ ჩამოგყალიბებია), საკუთარ თავს და მთელ საფეხბურთო საქართველოს მატჩიდან მატჩამდე უნდა უმტკიცო, რომ...

რომ რა? რაღაც რთულ აზრს შევეჭიდეთ, თავს ვერ ვაბამთ. ალბათ, იმის თქმა გვინდოდა, რომ „ამერის" ფრეები (თან ძლიერ მეტოქეებთან) მოგვწონს, მაგრამ მის ქომაგებს ვეთანხმებით, რომ ფრეებს მოგებები სჯობს და მიზანი მხოლოდ მოგება უნდა იყოს.

„ამერისა" და მცხეთელ-ვიტელთა თამაშიც არ იყო ცუდი, მთლიანობაში შეეხედებოდა. ტემპიც ვარგოდა, ორმხრივი შეუპოვრობაც, ისიც ძალიან კარგი იყო, რომ მეტოქეები დაიღალნენ, მაგრამ ბოლომდე დადგნენ (უნდა ვაღიაროთ, რომ „ამერმა" მეტად გაძლო), ალბათ სხვაც იყო აღსანიშნავი, თუმცა უხარვეზებოდაც არ გამოსულა.

„ამერის" ხარვეზები, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც იმით იყო გამოწვეული, რომ ცენტრალური ნახევარმცველი, გიორგი განუგრავა 17 წლამდელთა ნაკრებშია მივლინებული და გეგი გარუჩავასთან ერთად გუნდის ხერხემალს ვერ კრავდა. ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ამ თბილისური გუნდის თამაში, ჩვენი აზრით, ძალიან მკაფიოდაა ნახევარდაცვაზე დამოკიდებული — უფრო დაწვრილებით განხილვა ჯერ ზედმეტად მიგვაჩნია. თუმცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე *„ამერის" მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ* სხვა საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება:

„ყველაზე მეტად მაშფოთებს, როდესაც — განსაკუთრებით თუ ეს გამოცდილებს მოსდით — ფეხბურთელები ვარჯიშზე შესწავლილ და დამუშავებულ სვლებს თამაშის დროს ვერ იმეორებენ ანუ რაც იციან, ვერ აკეთებენ".

ვფიქრობთ, ვის-ვის და, „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრაში მწვრთნელის ეს სიტყვები ასაკის კვალობაზე მსუბუქად ამოძრავებულ გიორგი კილასონიას არ მიესადაგებოდა. ვეტერანმა იმოძრავა, იბრძოლა და, რაც მთავარია, თავისი წილი მწვავე პასები არიგა, ხოლო მათგან გოლად მხოლოდ ერთი რომ იქცა, რა მისი ბრალია.

*გია კვაშა („ვიტ ჯორჯია")*: „მაღალი ტემპი იყო, პირველი ლიგის კვალობაზე კარგი თამაში გამოვიდა. ჩვენებიდან მანჯავას გამოვყოფდი. სამწუხარო კი ისაა, რომ გატანილი გოლის მერე მობილიზაცია ვერ შევძელით და საპასუხო გავუშვით".



ამერელ ბექა გოცირიძეს მეკარე მუჯრიშვილმა დაასწრო

საქართველოს 15 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

## 12 ტური

**ლოკომოტივი 2 0:2 ივერია**

**ცხინვალი 2:0 ლუკა**

**ქობულეთი 3:2 გურია**

**თსუ 0:2 დინამო 2**

**ჩიხურა 1:1 ოლიმპი**

**გორდა 1:0 სამგურალი**

**მილანი 3:0 მეტალურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 11 | 8 | 1 | 2 | 19:8 | 25 |
| ოლიმპი | 10 | 6 | 4 | 0 | 19:8 | 22 |
| სამგურალი | 12 | 6 | 4 | 2 | 14:7 | 22 |
| გორდა | 12 | 6 | 3 | 3 | 13:10 | 21 |
| ცხინვალი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:7 | 19 |
| მილანი | 12 | 5 | 3 | 4 | 10:8 | 18 |
| ჩიხურა | 12 | 5 | 1 | 6 | 14:14 | 16 |
| დინამო 2 | 12 | 4 | 4 | 4 | 19:15 | 16 |
| ივერია | 12 | 4 | 4 | 4 | 10:17 | 16 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 12 | 3 | 6 | 3 | 8:9 | 15 |
| თსუ | 12 | 4 | 2 | 6 | 18:14 | 14 |
| გურია | 12 | 4 | 2 | 6 | 14:17 | 14 |
| ამერი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:13 | 14 |
| ლუკა | 12 | 4 | 1 | 7 | 11:17 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 4 | 1 | 7 | 8:15 | 13 |
| მეტალურგი | 12 | 0 | 1 | 11 | 4:35 | 1 |

**ინგლისი**
პრემიერლიგა. XI ტური
ბირმინგემი 1:2 ჩარლტონი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. XI ტური
უნიონი 2:1 ალემანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XIV ტური
დორტმუნდი (მ) 2:0 ჰამბურგი (მ)

**იტალია**
სერია C1/B. X ტური
ჯულიანოვა 0:2 კატანძარო

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XIV ტური
ნიორი 0:0 ლე ავრი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. X ტური
ბრაგა 0:0 ბოავიშტა

**შვეიცარია**
ჩელენჯლიგა. XIII ტური
ბადენი 4:1 სიონი

**უკრაინა**
პრემიერლიგა. XIV ტური
ობოლონი 1:0 ტავრია

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა. XIII ტური
სლავია 2:0 სინოტი

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი 15 ჩემპიონატი

# 15 ტური

# დეკა და დაკა-დაკა



გიორგი დეკანოსიძე



მერაბ მალალურაძე ფეხბურთელებს ფეხებში ჩაუვარდა

დავით თავართქილაძე

**ესეც** ჩვენი ტურის ცენტრალური მატჩი — დაძაბული და უგოლო, საინტერესო და ცუდი.

„ვიტ ჯორჯიას" მალევე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ოლეგ გველესიანმა რევაზ გოცირიძის პასს ისეთი ცაცია მიაყოლა, რომ ბურთი დავით გვარამაძის კარის ძელს გაეხახუნა.

პირველი წუთების შემდეგ კი მოედნის ცენტრს „დინამო" დაეპატრონა. სტუმართაგან გამორჩეული ალეკო გოგობერიშვილი გახლდათ, მაგრამ ფლანგებს, განსაკუთრებით მარცხენას, „დინამო" კარგად ვერ იყენებდა, ვერც რატი ალექსიძეს და ლადო ახალაიას წაუვიდათ თამაში. დინამოელებმა ერთი კარგი ფლანგური იერიში მაინც მიიტანეს მეტოქეზე — კარლოსმა და ლადო ბურდულმა სწრაფად გაითამაშეს ბურთი, რომელიც ახალაიამ თავით ხეირიანად ვერ დაარტყა. გატანის შანსი ალექსიძესაც ჰქონდა, როცა ვიტალი დარასელიას გადაცემის შემდეგ ძლიერად ვერ დაარტყა და ბურთს მირზა მერლანი იოლად დაეუფლა.

მასპინძლები ფრთხილობდნენ და მათი გამთამაშებელი გიორგი დეკანოსიძეც პირველ ტაიმში უნიათო იყო. თამაში არ წაუვიდა ოთარ მარცვალაძეს, რითაც „ვიტ ჯორჯიას" იშვიათ იერიშებს სიმწვავე აკლდებოდა. ამ ყოველივეს მიუხედავად ტაიმის ბოლოს ვიტელებმა ორი კარგი კონტრშეტევა გაახერხეს — დავით დილმელაშვილმა ჩინებული პასი გაუჭრა გველესიანს, ვინც ახლოდან გვარამაძისთვის ბურთის თავზე გადაგდებას შეეცადა, მაგრამ მისი „ჩიპი" შედეგიანი არ გამოდგა. შემდეგ რევაზ გოცირიძემ 17-18 მეტრიდან სცადა გატანა და ხარიხას გადაულო ბურთი.

მეორე ტაიმი საუცხოოდ ჩაატარა დეკანოსიძემ. მისი შორეული გადაცემით გოცირიძე ფაქტობრივად პირდაპირ აღმოჩნდა გვარამაძესთან, მაგრამ მარცხენა მახვილი კუთხიდან სიზუსტემ დაალალატა. მალე „დეკამ" ალექსანდრე ინწკირველს ჩააწოდა კუთხურიდან, რომლის თავური გვარამაძემ მოიგერია, დამატებაზე კი გიორგი შაშიაშვილმა იყოჩაღა და ხიფათი განმუხტა.

„დინამომ" ნელ-ნელა ისევ მოუჭირა მარწუხები მეტოქეს. რატი ალექსიძე „ვიტ ჯორჯიას" საჯარიმო მოედნის ზედ ხაზზე წააქციეს. ჯარიმა თავად რატიმ დაარტყა — მერლანმა ძელ-ხარიხის გადაკვეთასთან ჩაზუზუნებულ ბურთზე თვალის გაყოლება ძლივს მოასწრო. დეკანოსიძემ ამას შორეული, ასევე ოდნავ არაზუსტი დარტყმით უპასუხა.

ახლა იმაზეც ვთქვათ, რამ გააცუდა მატჩი. „დინამომ" მეტოქე კარგად გამოიჭირა კონტრშეტევაზე, ახალაიამ ბურთი „ვიტ ჯორჯიას" საჯარიმოში შეიგდო და მეტოქე მცველები ორივე მხრიდან ვარდნით ჩაუწვნენ — ახლაიამ მერლანამდე ვერ მიაღწია, არბიტრმა მერაბ მალალურაძემ კი პენალტი არ დანიშნა, მაგრამ რომ დაენიშნა, ალბათ ვერავინ იტყოდა, 11-მეტრიანი მოიგონაო. მოკლედ, დინამოელები აღშფოთდნენ. მალალურაძე და გიორგი ანჩაბაძე ერთმანეთს მხრებით დაეჯახნენ და მსაჯი წაიქცა. ვერ დავიჩემებ, რომ ანჩაბაძემ შეგნებულად წააქცია არბიტრი, მაგრამ ის ნაღდია, რომ მინდორზე გართხმულ მალალურაძეს ერთ-ერთმა დინამოელმა ფეხი წაარტყა. მალალურაძე წამოდგა და ისე გააგრძელა მატჩი, რომ წითელი ბარათი არავისთვის უჩვენებია. განა ასეთი რამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უნდა ხდებოდეს?.. უარესებიც მომხდარა და კიდევ მოხდება, თუ ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა სადისციპლინო კომიტეტის რეფორმას არ დააჩქარებენ.

ამ ინციდენტის შემდეგ „დინამო" უფრო გააქტიურდა, მაგრამ მხოლოდ ლევან მელქაძის სახიფათო ცაცია დარტყმას დასჯერდა, რომელიც ოდნავ გადასცდა ხარიხას.

ტაიმის ბოლო წუთები კი „ვიტ ჯორჯიამ" ჩაატარა აღმავლობით. გიორგი ადამიას ჯარიმა გვარამაძემ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია. დეკანოსიძე-დათუნეიშვილ-გოჩაშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის ულაზათო თავურით დასრულდა. მერე კი ვიტელებმა ორი რეალური საგოლე მომენტი გაანიავეს — გოჩაშვილმა ლაშა ნოზაძეს გაუჭრა პასი, მან ისევ გოჩაშვილს გადააწოდა, ამან კი დაახლოებით სამი მეტრიდან აცილა „დინამოს" კარს. შეხვედრის ბოლო წამებზე კი „დეკამ" ოციოდე მეტრიდან გვარამაძის ძელს დაამგერა ბურთი.

*ივო შუშკა:*



ნერვიული დერბი იყო. გუნდებს უხარისხო მინდორმა შეუშალა ხელი. თანაბარ თამაშში ბოლოს ბედი ჩვენს მხარეს იყო, როცა ბურთი ძელს მოხვდა.

*ზურაბ ბერიძე:*



სერიოზული მეტოქე გვყავდა და შედეგით კმაყოფილი ვარ. საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მატჩის შედეგი ლოგიკურია.

თბილისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. მაყურებელი. 1 000 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:0 დინამო

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ზვ. ლაბაძე (გ. გოჩაშვილი 46), კობიაშვილი, იმედაშვილი, ინწკირველი დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დეკანოსიძე, გველესიანი, გოცირიძე (დათუნეიშვილი 75), მარცვალაძე (ადამია 63)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; დოლიძე, ფეიქრიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**დინამო:** გვარამაძე, კარლოსი (ხიზანეიშვილი 86), წერეთელი, შაშიაშვილი, ამახულაშვილი, კვირკველია, დარასელია, გოგობერიშვილი, ალექსიძე (მელქაძე 66), ბურდული (ანჩაბაძე 60), ახალაია
*სათადარიგონი:* ზოიძე; კანდელაკი, იაშვილი
**მწვრთნელი:** ივო შუშკა

**გაფრთხილება:** კარლოსი (19), იმედაშვილი (16), ამახულაშვილი (8), დარასელია (28)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა:7-1; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 5-2; თამაშგარე: 3-1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 9 | 4 | 2 | 32:6 | 31 |
| სიონი | 15 | 8 | 6 | 1 | 18:8 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 5 | 1 | 24:7 | 29 |
| დილა | 15 | 8 | 3 | 4 | 18:11 | 27 |
| თბილისი | 14 | 6 | 3 | 5 | 26:17 | 21 |
| ლოკომოტივი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:17 | 21 |
| ტორპედო | 15 | 5 | 4 | 6 | 13:16 | 19 |
| მცხეთა | 15 | 5 | 2 | 8 | 18:33 | 17 |
| ბათუმი | 14 | 5 | 1 | 8 | 17:17 | 16 |
| კოლხეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 9:21 | 12 |
| მერცხალი | 15 | 2 | 4 | 9 | 14:29 | 10 |
| სპარტაკი | 15 | 2 | 4 | 9 | 8:36 | 10 |

## მე-11 ტურის გადადებული მატჩი

თბილისი. 4 ნოემბერი. 15 საათი. ისანი

### თბილისი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. შილაკაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

**ქართულ ფეხბურთს** დღეიდან ახალი, თანამედროვედ გაწყობილი სარბიელი შეემატება. „თბილისის" მესვეურებმა ფაქტობრივად თავიდან ააშენეს ისნის სტადიონი, რომელმაც გუშინ აღტაცებაში მოიყვანა სფფ-ის წარმომადგენლები. ასეთი არენა ბევრ ევროპულ კლუბს შეშურდება, ყველაფერი დიდი გემოვნებით და სათუთად არის გაკეთებული, თქვა ერთ-ერთმა მთავარმა შემმოწმებელმა ანატოლი მილჩენკომ.

მოკლედ, დღეს „თბილისის" ახალმოსახლეობაა. გუნდი პირველ შეხვედრას გამართავს ახალ სარბიელზე და, რაღა თქმა უნდა, მოგებას შეეცდება რკინიგზულ „ლოკომოტივთან". ეს მატჩი 5 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მაშინ მეთერთმეტე ტური არასრულად გაიმართა, რადგან „თბილისის" სამი ფეხბურთელი საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებს დასჭირდა ევროშესარჩევში.

ჩემპიონატის ბოლო ტურში დღევანდელმა მეტოქეებმა გაიმარჯვეს და, ბუნებრივია, დღესაც დიდ ომს გამართავენ, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი დიდ ნაბიჯს გადადგამს ექვსეულში მოსახვედრად.

**პაატა ქვანტალიანი**

# ნოდარ კაკულია აღიარეს, მსაჯებს ხისტი დაავალეს

**ამ კაცის** მეიმედება, თავისი საქმის პროფესიონალია და მჯერა, შესაძლებლობებს ღირსეულად წარმოაჩენს — თქვა გუშინ პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა და საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცად ნოდარ კაკულია დანიშნა. ამ გადაწყვეტილებით ის ვაკანსიაც შეივსო, რომელიც კარგა ხანია, ღიად იყო, თუმც საშეჯიბრო კომიტეტის მუშაობას ფაქტობრივად ნოდარ კაკულია წარმართავდა აქამდეც. იგი მართლაც პროფესიონალია და სწორედ კაკულიას ძალისხმევით გვარდებოდა ყოველთვის ჩემპიონატის ჩატარების ტექნიკური პრობლემები. ასე რომ, საშეჯიბრო კომიტეტს ღირსეული თავკაცი ჰყავს.

პროფლიგის მესვეურებმა გუშინვე კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღეს და რეკომენდაცია მისცეს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს: მსაჯებმა საშუალება მისცენ გუნდებს თამაშის მსვლელობისას სიხისტისა და მეტი ბრძოლის უნარიანობის გამოსავლენად. თითო მიკარებაზე ჯარიმა არ უნდა ინიშნებოდეს, საქართველოს გარდა მსოფლიოში ასე არსად სტვენენ და დროა, საერთაშორისო ფეხბურთის ფეხის ხმას ამ მხრივაც ავყვეთო, თვლიან პროფლიგის მესვეურები. მათი აზრით, ეს რეკომენდაცია ქართული გუნდების ევროსარბიელზე ნაჩვენებ შედეგებსაც დაეტყობა. ვნახოთ, რა გამოვა აქედან. მილჩენკომ და კომპანიამ უსიტყვოდ მიიღეს ახალი დირექტივა, ეგ არის, ამ გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი გვაფიქრებს. ჩასტვენ, შარია, არ ჩასტვენ, ეგებ უარესიც იყოს, ჰოდა, ვეჭვობთ, კლუბების და მსაჯების ურთიერთობა ამის შემდეგ უფრო არ გამწვავდეს. თუმც პროფლიგის მესვეურები ირწმუნებიან, ვინც წესებს გადავა, უმკაცრესად დაისჯებაო.

**პაატა ქვანტალიანი**




კლაუდიო პიზარო და ლევან კობიაშვილი

# ამ ხუმრობა ხუმრობაში...

**გელზენკირხენის** „შალკემ" და ლევან კობიაშვილმა მრისხანე „ბაიერნი" იმსხვერპლეს. იუპ ჰაინკესის გაწვრთნილი „ხუმარები" ამ სეზონში მაგრად მოიკოჭლებენ, თუმც მიუნხენელთა წინააღმდეგ განსაკუთრებულად მოინდომეს და 2:0 გაიმარჯვეს. ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა და დიდი თავსატეხიც გაუჩინა სტუმართა მარჯვენა ფლანგს. ჩვენებურის სწრაფი გარღვევები ერთობ სახიფათო იყო. „კობიმ" გერმანელ ჟურნალისტთა ქებაც დაიმსახურა. „შალკე" კი ამ გამარჯვებამ მეათე ადგილამდე აიყვანა.

მოყოჩაღებული „შტუტგარტი" იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმაც" ვერ შეაჩერა. ფოლკერ ფინკეს გუნდი უსიტყვოდ დამარცხდა მასპინძლებთან. იაშვილი მწვრთნელმა 68-ე წუთზე შეცვალა, ამავე წუთზე მოედანზე ბერნერის ნაცვლად შესული ცქიტიშვილი კი გაფრთხილებას დასჯერდა.

მეორე ბუნდესლიგაში ხვიჩა შუბითიძემ საამსეზონო მეხუთე გოლი გაიტანა. აუელები ქართველი თავდამსხმელის გოლით იგებდნენ, მაგრამ ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს — „მაინცმა" მაინც გაუტანა მასპინძლებს და შინ ქულა გაიყოლა. შუბითიძე 89-ე წუთზე შეცვალეს.

„რეინჯერსმა" ფრეები დაივიწყა და პატარა „პარტიკი" 3:1 დაამარცხა. ორივე ჩვენებურმა შეცვლაზე ითამაშა — ხიზანიშვილი მე-19, ხოლო არველაძე 36-ე წუთზე გამოჩნდნენ მოედანზე. გიორგი ნემსაძე კი „დანდის" ტრავმის გამო ისევ ვერ დაეხმარა. დანდელებმა „ჰიბერნიანი" ვერ დაამარცხეს. მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა.

ორმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა „ტვენტემ". ენსხედელები სტუმრად „ზვოლეს" დაეჩაგვრინენ. გოგა გახოკიძე ჩვეულად ძირითად შემადგენლობაში იყო და სრულადაც ითამაშა.

რუსეთის გაკეთებულ-ჩაწყობილ-გარიგებულ პრემიერლიგაში ორი ქართული ბრინჯაო გამოიჭედა — დავით ჩალაძის და ლევან სილაგაძის „რუბინმა" ბოლო წამებზე მოუგო ჩემპიონ ცსკა-ს და მესამე ადგილი დაისაკუთრა.

ამაში კი ყაზანელებს კიდევ ორი ქართველი ეცილებოდა — მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივს" გასავარდნად განწირული „ურალანი" შემოებდღვნა, თუმცა ამას უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რკინიგზელები ოდენ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. ვასილ გიგიაძის, ვალერი აბრამიძის და ანზორ კალაძის „ურალანი" კი პრემიერლიგას დაემშვიდობა, რაც „ლოკომოტივის" გარდა „ტორპედო-მეტალურგის" ბრალიც იყო. ალექსანდრე რეხვიაშვილის გუნდმა სტუმრად „სპარტაკს" „გამოართვა" სამი ქულა და საუკეთესოთა შორის ადგილი შეინარჩუნა. ამ მატჩში ქართველებს არ უთამაშიათ — გიორგი ლომაია სათადარიგო იყო, რეხვიაშვილმა კი მწვრთნელთან უთანხმოების გამო სეზონი სარეზერვო გუნდში ჩაამთავრა.

პოლონეთში ვრონკის „ამიკას" ვერავინ გადაახტა. ტრავმამოშუშებულმა მამია ჯიქიამ უკვე ძირითადის ადგილიც დაიბრუნა. ასე იყო „კატოვიცესთან" 4:0 მოგებულ მატჩშიც. „ამიკა" ისევ პირველ ადგილზეა.

უკრაინაში კი რატომღაც დონეცკის „მეტალურგი" გაჩერდა. სამი ტურის წინ დონბასელები დაუმარცხებლად მიიწევდნენ წინ, თუმც მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდნენ, თასიდან „ტავრიასთანაც" შერცხვნენ და აგერ, ახლა „ილიჩევცთან" გაიყვეს ქულები. თუმც ამ შემთხვევაში უკმაყოფილო „ილიჩევეცი" უნდა იყოს — მასპინძლები 2:0 უგებდნენ „მეტალურგს" და ბოლო ათ წუთში გაუშვეს გოლები. დონეცკელთაგან ერთი გიორგი დემეტრაძემ გაქვითა, ვინც ჯერჯერობით უკრაინის საუკეთესო ბომბარდირია 9 გოლით.

ახალ გუნდში პირველად გამოირჩა კახა ჩხეტიანი. უნგრეთის ჩემპიონატის დებიუტანტმა „პეჩმა" 3:1 მოუგო „ვიდეოტონს" და მესამე გოლი სტუმრებს სწორედ შეცვლაზე შესულმა ქართველმა ნახევარმცველმა გაუტანა.

კვიპროსზე კი ტრავმამოშუშებული ლევან ქებაძე დაბრუნდა. დაბრუნდა და, ცხადია, გოლითაც იყოჩაღა. „პარალიმნ" — „ევტაპასის" მატჩში ქებაძე 58-ე წუთზე ჩაერთო და შვიდ წუთში წერტილი დაუსვა შეხვედრას. ეს გოლი ქებაძისთვის მეხუთე მატჩში მეექვსეა, რაც ურიგო შედეგი ნაღდად არაა.

**კახა ზალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | იუვენტუსი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ბაიერნი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 11 | 0 | 10 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 1:4 | 68 | შეცვალეს | 11 | 3 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 1:4 | 22 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთხ. | 11 | 1 | 11 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | მაინცი 1:1 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 11 | 5 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | პარტიკი 3:1 | 54 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 7 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | პარტიკი 3:1 | 71 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ჰიბერნიანი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 9 | 0 | 4 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ზვოლე 0:1 | 90 | | 10 | 0 | 10 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ზალცბურგი 0:5 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 9 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ურალანი 6:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 11 | 1 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ურალანი 6:0 | 69 | საგოლე პასი, შეცვალეს | 13 | 8 | 4 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | ცსკა 3:2 | 59 | შეცვალეს | 19 | 3 | 3 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | ცსკა 3:2 | 0 | სათადარიგო | 10 | 0 | 3 |
| ვალერი აბრამიძე | ურალანი | ს | ლოკომოტივი 0:6 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | ლოკომოტივი 0:6 | 65 | შეცვალეს | 15 | 2 | 15 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | ლოკომოტივი 0:6 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | ტ. მეტალურგი 0:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | სპარტაკი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 21 | 1 | 14 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | როსტოვი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | შ | კატოვიცე 4:0 | 90 | | 11 | 1 | 1 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ილიჩევეცი 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 14 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ილიჩევეცი 2:2 | 90 | 1 გოლი | 13 | 9 | 4 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | ობოლონი 0:1 | 90 | | 12 | 3 | 15 |
| გრიგოლ ჭანტურია | ტავრია | ს | ობოლონი 0:1 | 0 | | 2 | 0 | 15 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 0:1 | 90 | | 13 | 1 | 14 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | კრივბასი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 10 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ბორისფენი 2:0 | 0 | სათადარიგო | 12 | 3 | 6 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | ს | ბორისფენი 2:0 | 90 | | 10 | 0 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | შახტარი | შ | დნიპრო 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **უნგრეთი. ბორსოდი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | პეჩი | შ | ვიდეოტონი 3:1 | 24 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 6 | 1 | 5 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ვიდიმა 3:1 | 85 | შეცვალეს | 10 | 3 | 7 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | შ | ლიტექსი 1:1 | 0 | | 4 | 0 | 16 |
| ლევან შავგულიძე | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 11 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ლოკომოტივი 1:2 | 90 | | 2 | 0 | 11 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | იოზგა 3:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 3 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | გაუია 6:0 | 90 | | 19 | 6 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | გაუია 6:0 | 62 | შეცვალეს | 9 | 1 | 1 |
| თამაზ პერტია | არმა | ს | ვენტსპილსი 0:9 | 90 | | 23 | 2 | 8 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | პაფოსი 1:2 | 90 | | 8 | 4 | 6 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | ანაგენისი 0:0 | 90 | | 6 | 1 | 7 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ევტაპასი 3:1 | 32 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 5 | 6 | 5 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | ს | პარალიმნი 1:3 | 90 | | 8 | 5 | 11 |
| დავით პეტრიაშვილი | ევტაპასი | ს | პარალიმნი 1:3 | 0 | | 4 | 1 | 11 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | ს | ბოგატირი 3:2 | 0 | სათადარიგო | 6 | 2 | 4 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | ს | ბოგატირი 3:2 | 60 | შეცვალეს | 11 | 2 | 4 |
| სანდრო ბურნაძე | ჟეტისუ | ს | ჟენისი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 1 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



„ბაიერნს" გელზენკირხენში ასე დახვდნენ

# ჰანკე — ლინკე, ლაუტის ათასი და ზამერული შემობრუნება

## პირველი ბუნდესლიგა

### XI ტური

**შალკე 2:0 ბაიერნი**

1:0 ჰაიტო (16პ), 2:0 უდე კამპუისი (80)
**შალკე:** ფ. როსტი, ჰაიტო, ვალდოხი, მატელანი, კობიაშვილი, უდე კამპუისი, კ. პოულსენი (ვერმანტი 25), პინტო (ტროიანი 72), ასამოა, სანდი; ჰანკე (გლიდერი 85)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
**ბაიერნი:** კანი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი, თ. ლინკე, ლიზარაზუ, დემიკელისი, ბალაკი, დაისლერი (იერემისი 38), ზე რობერტო (შოლი 72), მაკაი, სანტა კრუზი (კ. პიზარო 70)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კობიაშვილი, ჰაიტო, ვალდოხი, კოვაჩი, დემიკელისი, ლიზარაზუ
გაძევება: ლინკე (32)
მსაჯი: შტაინბორნი
61 266 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:1 ფრაიბურგი**

1:0 კურანი (33), 1:1 კულიბალი (45პ), 2:1 ტიფერტი (62), 3:1 გლები (64), 1:1 კურანი (65)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში (ამანატიდისი 61), გლები, ჰელდტი (ტიფერტი 46), კურანი (მაისნერი 82), საბიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
**ფრაიბურგი:** გოლცი, კონდე, შ. მიულერი, კრუპკე, ბერნერი (ცქიტიშვილი 68), ბაირამოვიჩი, რაიტერი, ა. ცაიერი, კულიბალი, იაშვილი (ბ. დიარა 68), ტანკო (კაირო 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: სოლდო, ჰილდებრანდი, ცაიერი, ლამი, ტიფერტი, ცქიტიშვილი
გაძევება: ცაიერი (58)
მსაჯი: იანსენი
54 088 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:0 ლევერკუზენი**

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, გრამოცისი, ლემბი, მეტომო, ჩატო, ჰენგენი, ანფანგი (ჰალილ ალტინტოპი 86), ხრისტოვი, დომინგეში (ტიმი 73), კოსოვსკი, კლოზე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი, ბალიტჩი, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (ბიროფკა 63), პონტე (ბაშთურქი 76), ბერბატოვი, ფრანცა (ნოივილი 70)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ჰენგენი, პონტე, რამელო, ჟუანი
მსაჯი: ვაგნერი
38 582 მაყურებელი

**ვერდერი 3:1 აინტრახტი**

1:0 აილტონი (18). 2:0 ბაუმანი (25), 2:1 კრისი (67), 3:1 კლასნიჩი (70)
**ვერდერი:** რაინკე, დავალა უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ფ. ბაუმანი, ფ. ერნსტი, ლისტეში (ბოროვსკი 67), მიკუ, აილტონი (დაუნი 81), ხარისტიასი (კლასნიჩი 67)
მწვრთნელი: თომას შააფი
**აინტრახტი:** ნიკოლოვი, კრისი, ჩიპი, ცომუ-მადზა, პროისი, შური, ვიდენერი (ბაიერლე 75), ლექსა, შკელა, კროიცი (დრაგუშა 86), ფრომერი (ჩა 67)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: კლასნიჩი, ლექსა
მსაჯი: ალბრეხტი
34 619 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:2 ჰამბურგი**

0:1 მაჰდავიკია (14), 0:2 რომეო (60), 1:2, 2:2 კოლერი (64, 66პ), 3:2 ევერტონი (69)
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ხ. ფერნანდესი, ვიორნსი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი, შ. როიტერი, რიკენი, გამბინო (მ. მეცელდერი 79), ოდონკორი (სენესიე 60), კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
**ჰამბურგი:** ვიახტერი, ვიკი, ჰოოგმა, რაინჰარდტი, უიფალუში, მალტრიცი, იაროლიმი (ტაკაჰარა 74), ბაინლიხი (კარდოზო 78), ბარბარესი, მაჰდავიკია, რომეო
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: იენსენი, როიტერი, ბარბარესია, ჰოოგმა, რაინჰარდტი, უიფალუში, ვიკი
მსაჯი: კემლინგი
78 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:0 ჰერტა**

1:0 დალესანდრო (24), 2:0, 3:0 კლიმოვიჩი (47, 71)
**ვოლფსბურგი:** იენჩი, ბილიშკოვი, შნოორი, შარპეი, ტიამი, ვაიზერი, კარჰანი, დალესანდრო (პრგოვიჩი 83), მენსეგეში (სტრაიტი 81), ბაიანო (ფრანცი 75), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
**ჰერტა:** კირალი, ფრიდრიხი, რემერი, შიმუნიჩი, შმიდტი (ფატი 75), ნ. კოვაჩი, დარდაი (პინტუ 82), გოორი, მარსელინიო, ბობიჩი, ლუიზაო (რაფაელი 68)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: მენსეგეში, ბილიშკოვი, კარჰანი, დარდაი, ლუიზაო, გოორი
მსაჯაი: შიპელი
21 325 მაყურებელი

**მიუნხენი 3:1 ბოხუმი**

0:1 ჰაშემიანი (35), 1:1, 2:1, 3:1 ლაუტი (49, 66პ, 77)
**მიუნხენი:** მ. ჰოფმანი, შტრანცლი, ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, ტისი, მ. ლემანი, გიორლიცი (ჩერნი 79), შვარცი, ვაისენბერგერი (შეფერი 89), ლაუტი (აგოსტინო 83), შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
**ბოხუმი:** ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი (დიაბანგი 74), ოლისე, ცდებელი (ტ. გუდიონსონი 76), ვოში (ფრაიერი 70), ჰაშემიანი, ბაკლი, მადსენი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ჩერნი, ცდებელი
მსაჯი: ტრაუტმანი
18 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:1 ჰანზა**

1:0 სვერკოში (30), 1:1 პერსონი (33)
ვან ლენტმა ვერ გაიტანა პენალტი (35, ხარიხა)
**მიონხენგლადბახი:** შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, ოჯიგვე, კლუგე, ულიხი (კირხი 69), კოლკა, დემო (ვან ჰუტი 72), ვან ლენტი (პოდზიუსი 77), სვერკოში
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
**ჰანზა:** შობერი, მიორლე, პერსონი, პილი, ტიკუზუ, მაული, რიდლევიჩი (მეგლე 90), ლანცი, შულცი (მელკამი 77), პლასნეგერი (დი სალვო 58), მაქსი
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: შულცი
მსაჯი: მერკი
30 100 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ჰანოვერი**

0:1 ბრდარიჩი (32), 1:1 შერცი (37), 1:2 შტენდელი (81)
**კიოლნი:** ვესელსი, კულმანი, დოგანი (კლოსი 52), სიხონე, ჰაინრიხი, კრინგე (ფედერიკო 71), ვოიგტი, ლოტნერი, ჰელბიგი (ებერსი 84), შერცი, შპრინგერი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
**ჰანოვერი:** ციგლერი, მერტესაკერი (ჩერუნდოლო 46), კონსტანტინიდისი, ზურავი, შტეფული (ვინიციუსი 46), დაბროვსკი, დე გუზმანი, კრუპნიკოვიჩი, შტენდელი, ბრდარიჩი (სტაინერი 73), იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: სიხონე, დე გუზმანი
მსაჯი: კირხერი
33 000 მაყურებელი

„აუფშალკეზე" ყველა ბილეთი გაიყიდა და გელზენკირხენელებმაც იუპ ჰაინკესის ხელში პირველი გემრიელი გამარჯვება იზეიმეს — მიუნხენის „ბაიერნი" დაამარცხეს.

ჰაინკესმა 4-4-2 აირჩია და ლევან კობიაშვილი დაცვაში გაამწესა. მოულოდნელი იყო სასტარტოში 19 წლის მაიკ ჰანკეს გამოჩენა, ვინც ჰაინკესმა გამოცდილ ვიქტორ აგალის ამჯობინა და არც შემცდარა.

ტომაშ ვალდოხი და როი მაკაი გუნდთაგან პირველები იყვნენ, გატანა რომ სცადეს. შეხვედრის მე-15 წუთზე კი უდე კამპუისი მარტინ დემიკელისმა წააქცია და პენალტიც დაინიშნა — პოლონელი ტომაშ ჰაიტოს დარტყმა უნაკლო გამოდგა.

ათი წუთის შემდეგ კი ოლივერ კანი კარგად გაფრინდა და ჰანკეს აუღებელი თავური აუღო. ბაიერნელი ტომაშ ლინკე უხეშობისთვის გააძევეს და აქედან ორ წუთში კობიაშვილი გამოირჩა — ქართველმა ყველაფერი ჩინებულად გააკეთა, რათა სერჟიო პინტუს გოლი გაეტანა, მაგრამ პორტუგალიელმა მიზანს ააცილა.

„ბაიერნს" ერთი ცუდი ამბავიც შეემთხვა — სებასტიან დაისლერი კვლავ დაშავდა და მოედნიდან გასაყვანი შეიქნა, თუმცა შესაძლოა მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდეს.

კაცნაკლულმა მიუნხენელებმა რამდენჯერმე უჩხვლიტეს „შალკეს", მაგრამ რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე კი ჰანკემ კარგად გადააწოდა ბურთი „ბაიერნის" მცველების ზურგსუკან კამპუისს, ვინც ათიოდე მეტრიდან გაუტანა კანს.

ფეხბურთელობისას მათიას ზამერს ბევრჯერ შემოუბრუნებია თამაში „დორტმუნდის" თუ გერმანიის ეროვნული ნაკრების სასარგებლოდ. მისმა „დორტმუნდმა" კი „ჰამბურგთან" ასევე ზამერულად შემოაბრუნა მატჩი — „ბორუსია" 0:2 აგებდა და ხუთ წუთში სამი გოლი გაიტანა.

„ცოტა არ იყოს, იღბალმა დაგვალალატა და ამიტომაც ვაგებდით 0:2-ს, მაგრამ მერე დიდებულად ვიბრძოლეთ. თერთმეტი ტრავმიანი კაცი გვყავს და ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც შემიძლია ისაა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს შანსს ვაძლევ" — განაცხადა ნამატჩევს ზამერმა.

კაიზერსლაუტერნში ვერ მოიგო „ლევერკუზენმა" და ლიდერობაც დაკარგა. რობსონ პონტემ 49-ე წუთზე ძელს გაარტყა ბურთი, მაგრამ გასატანი „ლაუტერნსაც" ჰქონდა — ბულგარელ ნახევარმცველ მარიან ხრისტოვს ჰანს-იორგ ბუტმა ორი ურთულესი ბურთი აუღო.

პირველ ადგილზე ფელიქს მაგათის „შტუტგარტი" წამოსკუპდა, რომელმაც ცქიტიშვილ-იაშვილის „ფრაიბურგი" დაიბრიყვა. თუმც ფოლკერ ფინკეს გუნდი ანრეას ცაიერმა მაშინ დაალალატა, როცა ანგარიში 1:1 იყო.

22 წლის ბენჟამინ ლაუტმა იმ „ბოხუმს" გაუტანა სამი გოლი, რომელსაც ბოლო შვიდი ტური არ წაეგო. ლაუთის პირველი ბურთი „მიუნხენ 1860"-ის მე-1000 გოლი იყო ბუნდესლიგაში.

**დავით თავართქილაძე**



კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი. სტუმართა ბრაზილიელი ლუსიო ბურთს ფეხის წვერით მისწვდა

## მეორე ბუნდესლიგა

### XI ტური

**აუე 1:1 მაინცი**

1:0 შუბითიძე (36), 1:1 კრამნი (51)
**აუე:** რ. პეტკოვი, ნოვესკი, იენდროშეკი, ფ. ბერგერი, ემერიხი, კურტი (გ. ბერგერი 81), ჰაიდრიხი, რემი, შუბითიძე (იანკი 90), ტოპმიოლერი, კური (კუნცე 81)
11 300 მაყურებელი

**არმინია 1:3 კოტბუსი**

1:0 პორკელიო (24), 1:1 და სილვა (50), 1:2 ბენშნაიდერი (63), 1:3 და სილვა (68)

**ლიუბეკი 4:1 ალენი**

1:0, 2:0 შარპინგი (25, 44), 2:1 სოპიჩი (52), 3:1, 4:1 ზანდი (65, 73)

**დუისბურგი 0:2 კარლსრუე**

0:1 ჰასა (86), 0:2 კეისი (90)

**ტრირი 0:2 ნიურნბერგი**

0:1, 0:2 კრჟინოვეკი (64, 89)

**ფიურტი 2:2 ბურგჰაუზენი**

1:0 ფაინბერი (30), 1:1 მოხტარი (45), 1:2 იუნგა-მუანი (57), 2:2 რუმანი (72)

**რეგენსბურგი 1:0 ოსნაბრიუკი**

1:0 კრიცერი (66)

**უნტერჰახინგი 1:4 ობერჰაუზენი**

0:1 ველიჩკოვი (19), 1:1 შუკალო (2[illegible]), 1:2 რადულოვიჩი (59), 1:3 უედრაგო (66), 1:4 ველიჩკოვი (71)

**უნიონი — ალემანია**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:17 | 20 |
| ალემანია | 10 | 6 | 2 | 2 | 22:19 | 20 |
| მაინცი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:13 | 19 |
| არმინია | 11 | 6 | 1 | 4 | 17:13 | 19 |
| კარლსრუე | 11 | 5 | 2 | 4 | 15:14 | 17 |
| ლიუბეკი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:18 | 16 |
| ნიურნბერგი | 11 | 4 | 4 | 3 | 20:17 | 16 |
| ობერჰაუზენი | 11 | 4 | 4 | 3 | 19:16 | 16 |
| დუისბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:15 | 16 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| უნტერჰახინგი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:19 | 15 |
| ფიურტი | 11 | 3 | 4 | 4 | 20:18 | 13 |
| რეგენსბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:18 | 13 |
| აუე | 11 | 3 | 3 | 5 | 11:13 | 12 |
| ტრირი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:21 | 12 |
| ოსნაბრიუკი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:18 | 10 |
| უნიონი | 10 | 2 | 3 | 5 | 11:12 | 9 |
| ალენი | 11 | 3 | 0 | 8 | 12:22 | 9 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შტუტგარტი | 11 | 8 | 3 | 0 | 17:2 | 15 | 27 | 6 | 4 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 |
| 2 ლევერკუზენი | 11 | 8 | 2 | 1 | 23:7 | 16 | 26 | 5 | 5 | 0 | 0 | 13:1 | 12 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 |
| 3 ვერდერი | 11 | 8 | 1 | 2 | 29:15 | 14 | 25 | 6 | 4 | 1 | 1 | 16:10 | 6 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 12 |
| 4 დორტმუნდი | 11 | 7 | 1 | 3 | 22:13 | 9 | 22 | 6 | 6 | 0 | 0 | 19:6 | 13 | 18 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 4 |
| 5 ბაიერნი | 11 | 6 | 3 | 2 | 25:15 | 10 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 6 ბოხუმი | 11 | 5 | 3 | 3 | 20:13 | 7 | 18 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 7 |
| 7 ვოლფსბურგი | 11 | 6 | 0 | 5 | 23:20 | 3 | 18 | 6 | 5 | 0 | 1 | 17:7 | 10 | 15 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | -7 | 3 |
| 8 მიუნხენი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 9 ჰანოვერი | 11 | 4 | 3 | 4 | 20:23 | -3 | 15 | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:14 | -4 | 9 |
| 10 შალკე | 11 | 3 | 5 | 3 | 14:16 | -2 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:10 | -3 | 5 |
| 11 ფრაიბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 15:20 | -5 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | -8 | 2 |
| 12 ლაუტერნი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:16 | -3 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 3 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:12 | -6 | 6 |
| 13 ჰამბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:24 | -13 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 14 აინტრახტი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:17 | -8 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 |
| 15 ჰერტა | 11 | 1 | 5 | 5 | 8:20 | -12 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | -7 | 2 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:9 | -5 | 6 |
| 16 კიოლნი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:18 | -9 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:7 | -5 | 1 |
| 17 გლადბახი | 11 | 1 | 4 | 6 | 7:16 | -9 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 18 ჰანზა | 11 | 1 | 3 | 7 | 12:21 | -9 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 3 | 6 | 0 | 3 | 3 | 8:14 | -6 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 10 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 8 |
| მაქსი (ჰანზა) | 7 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 7 |
| კლოზე (კაიზერსლაუტერნი) | 6 |
| მიკუ (ვერდერი) | 6 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 6 |

### XII ტური

8 ნოემბერი

ჰანოვერი — ვერდერი
აინტრახტი — შტუტგარტი
ფრაიბურგი — ვოლფსბურგი
ჰერტა — გლადბახი
ჰანზა — ლაუტერნი
ლევერკუზენი — შალკე
ბაიერნი — დორტმუნდი
ჰამბურგი — მიუნხენი
ბოხუმი — კიოლნი

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-14 ტური: კიოლნი (მ) — დინამო 2:0; ქემნიცი — მიუნსტერი 1:0; ნოიმიუნსტერი — ვატენშაიდი 0:0; ვერდერი (მ) — ზანქტ პაული 1:0; ლაიპციგი — ვუპერტალი 4:0; შალკე (მ) — კილი 1:1; იურდინგენი — ბრაუნშვაიგი 3:0; პადერბორნი — ესენი 2:1. დორტმუნდი (მ) — ჰამბურგი (იხ. მე-2 გვერდზე)

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-14 ტური: ერფურტი — ფოიხტი 2:2; აალენი — შტუტგარტი (მ) 5:2; კიკერსი — აუგსბურგი 2:1; ოფენბახი — ეშბორნი 1:3; კაიზერსლაუტერნი (მ) — ელვერსბერგი 1:3; ზაარბრიუკენი — მაინცი (მ) 0:3; შვაინფურტი — ვეჰენი 2:0; ბაიერნი (მ) — პფულენდორფი 5:1; ზიგენი — ჰოფენჰაიმი 3:1

# ჩვეულებრივი სამუშაო დღე ისე, როგორც სამი წლის წინათ

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XI ტური

### ლიდსი 1:4 არსენალი

0:1 ანრი (8), 0:2 პირესი (17), 0:3 ანრი (33), 0:4 სილვა (50), 1:4 სმიტი (64)
ლიდსი: რობინსონი, გ. კელი, კამარა, როკე ჟუნიორი, ოლემბე, პენანტი, ბეტი, სეტ ჯონსონი, სახო (ლენონი 61), ა. სმიტი, ბრიჯისი (მილნერი 45)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, ტურე, ეშლი კოული, პირესი, პარლოუ, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი (ედუ 71), ბერხკამპი (ალიადირი 77), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ოლემბე
მსაჯი: დინი
36 491 მაყურებელი

### ევერტონი 0:1 ჩელსი

0:1 მუტუ (49)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, იობო, ვეირი (სტაბსი 33), ნეისმიტი, გრავესენი, ნიარკო, ლინდეროტი (მაკფადენი 65), კილბეინი, რაძინსკი (ჯეფერსი 65), რუნი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, გალასი, ბრიჯი, მაკელელე, ჯერემი, ლამპარდი, ჯ. კოული (გუდიონსენი 87), მუტუ (დაფი 78), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მსაჯი: ვინტერი
40 189 მაყურებელი

### მანჩესტერი 3:2 პორტსმუთი

1:0 ფორლანი (37), 2:0 რონალდო (80), 3:0 კინი (82)
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ოში, რ. ფერდინანდი, ფორჩუნი, ფლეტჩერი, ბათი, ჯემბა-ჯემბა (როი კინი 76), გიგზი (ბელიონი 81), ფორლანი (კ. რონალდო 76), ვან ნისტელროოი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
პორტსმუთი: ჰისლოპი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, ფოქსი, ჟივკოვიჩი (რობერტსი 81), სტოუნი, კოში, შერვუდი (ტეილორი 69), ბერგერი, აიეგბინი, შერინგემი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დე ზეუვი, შერვუდი, კოში
მსაჯი: ბერი
67 639 მაყურებელი

### ფულემი 1:2 ლივერპული

0:1 ჰესკი (17), 1:1 საჰა (40), 1:2 მერფი (89პ)
ფულემი: კროსლი, ბონისელი, მელვინი, ვოლცი, ნაიტი, პემბრიჯი (ჯეტუ 21), კლარკი, ლეგვინსკი, მალბრანკი, ბოა მორტე, საჰა (ჰეილსი 86)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, ბისკანი (ანშო 66), ტრაორე, შმიცერი, მერფი, ჯერარდი, კიუენი, ჰესკი (ლე ტალეკი 82), ოუენი (სინამა-პონგოლე 77)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბოა მორტე, მერფი
გაძევება: ბოა მორტე (90)
მსაჯი: სტილსი
17 682 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 0:2 მანჩესტერ სიტი

0:1 ფაულერი (4), 0:2 ვანჩოპე (85)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი (ტელფერი 73), მ. სვენსონი, ლუნდეკვამი, ლე სო, ფერნანდესი (მაკკანი 57), ა. სვენსონი, დელაპი, მარსდენი, ბიტი, ფილიპსი (ორმეროდი 73)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერ სიტი: სიმენი, ჟიხაი, დანი, დისტინი, ტარნატი, სინკლერი, რეინა, ბარტონი, მაკმანამანი, ვანჩოპე, ფაულერი (სიბირსკი 83)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: მარსდენი, დანი
მსაჯი: უილი
31 952 მაყურებელი

### ნიუკასლი 1:1 ასტონ ვილა

0:1 დაბლინი (11), 1:1 რობერი (45)
ნიუკასლი: გივენი, ჰიუზი, ბრემბლი, კოლდუელი, ბერნარი, ბოიერი, ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ასტონ ვილა: სორენსენი, დელენეი, დაბლინი, იონსენი, სამუელი, დე ლა კრუზი (შ. მური 51), მაკკანი, ბერი, ჰიტცლსპერგერი, ვიტინგემი, ანხელი (ოლბოკი 63)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ბოიერი, სპიდი, ჰიტცლსპერგერი, მაკკანი, იონსენი
გაძევება: მაკკანი (70)
მსაჯი: მესიასი
51 975 მაყურებელი

### ტოტენჰემი 0:1 ბოლტონი

0:1 ნოლანი (73)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო (ბლონდელი 64), დოჰერტი, რიჩარდსი, ანდერტონი, პოიეტი (პოშტიგა 45), კონჩესკი, კინგი (მაბიზელა 86), რობი კინი, ზამორა
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჩარლტონი, ნგოტი, გარდნერი, კამპო, ნოლანი, იანაკოპულოსი (პედერსენი 86), ფრანდსენი, ოკოჩა, ჰანტი, დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: კარი, კონჩესკი, ბლონდელი
მსაჯი: რენი
35 191 მაყურებელი

### მიდლსბრო 2:0 ვულვერჰემპტონი

1:0 მენდიეტა (73), 2:0 ჟუნინიო პაულისტა (83)
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, საუთგეიტი, კოპერი, კედრუ, მედიეტა, დორივა (ჟუნინიო პაულისტა 63), ბოატენგი, ზენდენი, ნემეტი (კრისტი 45), მაკარონე (გრინინგი 75)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ვულვერჰემპტონი: ოუკსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, კამარა, რაე, ინსი, გუდიონსონი (სილასი 78), მილერი (კენედი 62), ივერსენი
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: მენდიეტა, გუდიონსონი, რაე
გაძევება: რაე (89)
მსაჯი: დანი
30 305 მაყურებელი

### ლესტერი 2:0 ბლეკბერნი

1:0 ბენტი (75), 2:0 ჰაუი (82)
ლესტერი: უოქერი, იმპი, სინკლერი (ელიოტი 72), ჰაუი, სტიუარტი, გილესპი (ტეტჩერი 61), იზეტი, მაკკინლი, სკოუკროფტი, ფერდინანდი (დიკოვი 67), ბენტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბაბელი, ტოდი, გრეშკო (რიდი 82), ემერტონი, ფლიტკროფტი (თუგაი 79), ფერგიუსონი, ტომპსონი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ჰაუი, დიკოვი, ემერონი
მსაჯი: გალაჰერი
30 975 მაყურებელი

*ბირმინგემი — ჩარლტონი*
*წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

აბა, რა მოულოდნელობა ის იყო, რომ „არსენალი“ „ელანდ როუდზე“ გაიმარჯვებდა? პირიქით, ფეხბურთის მარჩიელები ორი და სამი ბურთის უპირატესობასაც აძლევდნენ „მეთოფეებს“ ტანჯული „ლიდსის“ წინააღმდეგ.

ასეც მოხდა, ტიერი ანრიმ ზედიზედ მეოთხე თამაშში გაიტანა გოლი. თან ერთი კი არა, ორი და ალან სმიტმა მხოლოდ მაშინ გატეხა ანგარიში, როცა სტუმრები უკვე ოთხი ბურთის სხვაობით იგებდნენ. ამიტომ, ამ ტურში ლიდერის შეცვლა მოსალოდნელი არ იყო. „ლიდსი“ უტევდა, ყოველგვარი იარაღითა და ძალით, რაც კი გააჩნდა, ხოლო „არსენალი“ ჩვეულ, სწრაფ კონტრშეტევებს მისდევდა, როცა თვალის დახამხამებაში საკუთარ საჯარიმოსთან მყოფი რვა კაცი მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან გაჩნდებოდა, რომელთაგან რომელიმე აუცილებლად დაარტყამდა ზუსტად. ეს უფრო ხშირად ანრი იყო, „ლიდსი“ კი მაინც ცვლილებათა მოლოდინშია: ამ წაგების ჩათვლით მწვრთნელ პიტერ რიდს ოთხი ტური აქვს მიცემული, რათა უმუშევარი არ დარჩეს. თუმცა, მისი წასვლით რა უნდა შეიცვალოს გუნდში, ძნელი სათქმელია. იორკშირელ ქომაგებს სასიხარულოდ ის დაურჩათ, რომ სასტარტოში სამწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა ტრავმებით ტანჯული ოდინდელი მთავარმეგოლე მაიკლ ბრიჯისი. ბრიჯისმა შუა კვირაშიც ითამაშა სათასო შეხვედრაში, თუმცა, დაბრუნება იღბლიანი ვერ გამოუვიდა.

„არსენალმა“ კი მოიგო, მაგრამ მოიგეს მდევრებმაც. ამ კვირაში კი კვლავ შეასკდნენ ერთმანეთს „მეთოფეთა“ მენეჯერი არსენ ვენგერი და სერ ალექს ფერგიუსონი. ფერგიმ დაიწუნა ფეხბურთის ასოციაციის ვერდიქტი, რომლის მიხედვითაც რუდ ვან ნისტელროოის გამლახველ „მეთოფეებს“ შედარებით ლმობიერი სასჯელები ერგოთ. მანჩესტერელთა მენეჯერმა თქვა, რომ მას არასდროს არავინ დახმარებია ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი კი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა. ვენგერმა ბრალდებები აიცილა, უბრალო წაკამათებისთვის საკმაოდ მკაცრად დაგვსაჯესო. „მანჩესტერს“ კი აუცილებლად უნდა მოეგო საშინაო თამაში წინა ტურში „ფულემთან“ ნაჭამი სირცხვილის შემდეგ. „ოლდ ტრეფორდი“ დიდი ოვაციით შეეგება აწ „პორტსმუთის“ კაპიტან ტედი შერინგემს. 80 წუთის განმავლობაში თამაში მაინც ბეწვის ხიდზე სიარულს გავდა. მასპინძლები მხოლოდ ერთი ბურთით იგებდნენ და ეს იღბალა ბურთიც დიეგო ფორლანმა გაიტანა, რომელიც მთელი 22 ტურის განმავლობაში უგოლოდ გადიოდა მოედნიდან, ამ ათ დღეში კი ზედიზედ სამი თამაშშია გააქვს. ვან ნისტელროოიმ ორი ნაღდი ბურთიააცილა, რიო ფერდინანდი ხშირად ცდებოდა, მასპინძელთა ნახევარდაცვაში კი კვლავ ახალი სახეები ჩანდნენ. მერე ფერგიუსონმა ორმაგი შეცვლა გააკეთ და მოედანზე რონალდო და როი კინი შევიდნენ. სულ მალე „ოლდ ტრეფორდი“ სიხარულით მიესალმა თავის ახალ შვიდ ნომერს, რომელმაც თავისი პირველი მანჩესტერული გოლი გაიტანა. საჯარიმო დარტყმა საგოლედ არ იყო მიმართული: რონალდომ ფლანგიდან დააზვია ბურთი მეკარის მოედნისკენ და იგი კარში არეკნით აღმოჩნდა. როგორც სტუმართა მენეჯერმა ჰარი რედნაპმა თქვა, თამაში ამ გოლმა მოკლა. მერე კი როი კინი კოხტად შემოტრიალდა და შორეულ კუთხეში ჩასვა ბურთი. ძველი მანჩესტერული ფანდი: შემცვლელებმა თითო გოლი გაიტანეს, რამაც მედიას ხუმრობის საშუალება მისცა, „ოლდ ტრეფორდზე“ ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყოო.

ტურის ყველაზე გემრიელი, თავზეხელაღებული და მაგარი თამაში კი „გუდისონ პარკზე“ გაიმართა, სადაც „ევერტონმა“ „ჩელსის“ უმასპინძლა. ამ სტადიონზე სამი ტური იყო ვერც სტუმარს და ვერც მასპინძელს გაეტანა გოლი. ფორმაში შესული უეინ რუნი საუცხოოდ გამოიყურებოდა, თუმცა თამაშის ერთადერთი გოლი ადრიან მუტუმ გაიტანა უილიამ გალასის ჩაწოდებულს მიყოლილი თავურით. რთული გოლი იყო, თუმცა, როგორც კლაუდიო რანიერიმ თქვა: „ძალიან რთული თამაში იყო. პირველ ტაიმში პირწმინდად გვაჯობეს, მეორე უფრო თანაბარი იყო. ჩვენ გოლი გავიტანეთ, მაგრამ თამაშის გმირი მაინც ჩვენი მეკარე იყო“. კარლო კუდიჩინიმ ოთხჯერ ნამდვილად გადაარჩინა სტუმრები, მაშინ, როცა ნაიჯელ მარტინმა ერთხელ უშველა მასპინძლებს. იქაც ტომაშ რაძინსკის ორი ბავშვური ხაია, ორწელიწადნახევრის შემდეგ „ევერტონში“ დაბრუნებული ალექს ნიაკოს ძელი, ერთი არასწორი თავური ცარიელ კარში და „ჩელსიმ“ სამი ქულა წაიღო შინ, „ევერტონს“ კი რამდენი ხანია გოლი ვერ გაუტანია.

ეს ტური საერთოდ საფეხბურთო ტკბილეულობით იყო სავსე. მაგალითად, მძლე თავურით გაუტანა გოლი „ნიუკასლს“ დიონ დაბლინმა, 36



მანჩესტერი — პორტსმუთი. დიეგო ფორლანის საგოლე დარტყმა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 11 | 8 | 3 | 0 | 23:9 | 14 | 27 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 13 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 9 | 14 |
| 2 ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 21:9 | 12 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 13 |
| 3 მანჩესტერი | 11 | 8 | 1 | 2 | 21:6 | 15 | 25 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 13 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 |
| 4 ბირმინგემი | 10 | 5 | 4 | 1 | 9:5 | 4 | 19 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 5 | 3 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 10 |
| 5 სიტი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:12 | 10 | 18 | 5 | 2 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 |
| 6 ფულემი | 11 | 5 | 3 | 3 | 21:15 | 6 | 18 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 10 |
| 7 ლივერპული | 11 | 5 | 2 | 4 | 17:12 | 5 | 17 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 |
| 8 ნიუკასლი | 11 | 4 | 4 | 3 | 16:13 | 3 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 2 | 8 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:9 | 1 | 8 |
| 9 საუთჰემპტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 10:7 | 3 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:3 | 2 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 |
| 10 ჩარლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 1 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | -4 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 10 |
| 11 პორტსმუთი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:15 | -4 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 4 | 9 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:10 | -8 | 3 |
| 12 ტოტენჰემი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:14 | -4 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | -2 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 13 ასტონ ვილა | 11 | 2 | 5 | 4 | 9:13 | -4 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 2 |
| 14 მიდლსბრო | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | -6 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 |
| 15 ბოლტონი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:19 | -10 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 1 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:15 | -11 | 5 |
| 16 ევერტონი | 11 | 2 | 4 | 5 | 12:15 | -3 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 2 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 2 |
| 17 ვულვზი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:23 | -16 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:12 | -7 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:11 | -9 | 2 |
| 18 ლესტერი | 11 | 2 | 2 | 7 | 16:21 | -5 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 8 | 5 | 0 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 0 |
| 19 ბლეკბერნი | 11 | 2 | 2 | 7 | 15:21 | -6 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 8:10 | -2 | 3 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 5 |
| 20 ლიდსი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:25 | -15 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:15 | -10 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 10 |
| შირერი (ნიუკასლი) | 9 |
| ვან ნისტელროოი (მანჩესტერ იუნ.) | 8 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 8 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 7 |

### XII ტური
8 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | — | ტოტენჰემი |
| ასტონ ვილა | — | მიდლსბრო |
| ბლეკბერნი | — | ევერტონი |
| ბოლტონი | — | საუთჰემპტონი |
| ჩარლტონი | — | ფულემი |
| ჩელსი | — | ნიუკასლი |
| ლივერპული | — | მანჩესტერი |
| სიტი | — | ლესტერი |
| პორტსმუთი | — | ლიდსი |
| ვულვზი | — | ბირმინგემი |

წლის ფეხბურთიელმა, რომელიც პრემიერლიგის მთავარმეგოლეთა სამარდჟამო ათეულშიც ირიცხება, ახლა კი მცველად თამაშობს „ასტონ ვილაში“. ამ გოლს ჯორდების ოლივიე ბერნარმა უპასუხა, ალან შირერმა კი ვერაფრით გატეხა ვილელთა მეკარე ტომას სორენსენი, პენალტითაც კი. შირას დარტყმული სორენსენმა საუცხოოდ მოიგერია, თანაც, საინტერესო ის არის, რომ სამი წლის წინათ, ამავე სტადიონზე, ამავე კარში მდგომმა სორენსენმა ამავე ალან შირერს აუღო პენალტი.

აბა, ამბავი კი იყო „უაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემმა“ პირველად წააგო დროებით მენეჯერ დევიდ პლიტის ხელში. მომგები კი იყო „ბოლტონი“, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებიდან ელოდა გამარჯვებას და მოახერხა კიდეც. საკვირველი ეს არის მხოლოდ, რომ მოგებულთა კაპიტანმა, ჯეი ჯეი ოკოჩამ სამჯერ და სამჯერვე შორეული დარტყმით ზედა ძელი დააზანზარა.

„ვულვზის“ წარმატებული სვლა გაისკა მენდიეტასა და ჟუნინიოს გოლებით შეაჩერა „მიდლსბრომ“. მენდიეტამ და ჟუნინიომ ყურადღება არ მიაქციეს მოედნის კიდეზე ატეხილ მობურთალთა ძიძგილაობას და მსაჯის მიერ დანიშნული ჯარიმა უცებ გაითამაშეს, რასაც ბასკმა 25 მეტრიანი ზუსტი გასროლა მიაყოლა. „ვულვზში“ კი ამბავი ის არის, რომ იქ მოვარჯიშე პოლ გესქოინმა გამოაცხადა, ორ კვირაში გუნდის ძირითადში ვიქნებიო. ამით გაზა ვულვზელ ბებრებს, დენის ირვინსა და პოლ ინსს შეუერთდება. შევძლებ, შევძლებო, აცხადებს პოლი ჩვენც. დაველოდოთ.

ამასობაში კი „ლივერპულს“ ახალი ვარსკვლავი ჰყავს, ფლორენ სინამა-პონგოლიე, რომლის მიერ ბოლო წუთზე მონადირებულმა პენალტმა „ლივერპულს“ სამი ქულა უძღვნა „ფულემთან“ გასვლით მატჩში. „მანჩესტერის“ მძლეველმა „ფულემმა“ კი ზედიზედ მეორედ წააგო „ლოფტუს როუდზე“.

შაბათს გაიბრწყინა „ლივერპულის“ ერთმა ძველმა ვარსკვლავმა, „სიტის“ ძირითადში მყოფმა რობი ფაულერმა, რომელსაც აქამდე, თერთმეტ ტურში მხოლოდ ორჯერ გაეტანა. რობიმ ძველებურად წამოიღო ბურთი და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა შორეული კუთხისკენ გააცურა. ნავსი გატეხა პაულო ვანჩოპემაც, რომელიც ოქტომბერში მხოლოდ ძელს ურტყამდა ბურთს და ამის გამო ადგილიც კი დაკარგა მანჩესტერელთა ძირითადში. ამ ორმა გოლმა „საუთჰემპტონს“ საშინაო მარცხი აგემა.

კევინ კიგანი კმაყოფილი იყო: „მანჩესტერს“ ყოველთვის ჰყავს ერთი გუნდი ჩემპიონთა ლიგაში. ეგებ გაისად ორიც ჰყავდეს?

**ირაკლი გამყრელიძე**
**ლონდონიდან**

### პირველი დივიზიონი
### XVII ტური

**ბარნლი 1:1 კარდიფი**
1:0 ჩაპლოუ (52), 1:1 ერნშოუ (76)

**ქოვენთრი 1:1 ვესტ ჰემი**
0:1 დეფო (15), 1:1 ბარეტი (38)

**ქრიუ 1:0 რედინგი**
1:0 ჯოუნსი (15)

**იფსვიჩი 3:4 ჯილინგემი**
0:1 უოლესი (14), 1:1 ვესტლეიკი (18), 1:2 სიდიბე (45), 1:3 შოუ (53), 2:3 კუნაგო (60), 3:3 მილერი (74), 3:4 სონდერსი (90)

**მილუოლი 1:0 ნოტინგემი**
1:0 ბრანიფი (45)

**პრესტონი 3:0 დერბი ქაუნთი**
1:0 ალექსანდერი (22), 2:0 პელი (6), 3:0 ფულერი (72)

**სტოკი 2:2 შეფილდი**
1:0 ნოელ-უილიამსი (4), 2:0 აკინბი (18), 2:1 კოზლუკი (53), 2:2 ლესტერი (90პ)

**უოლსოლი 1:3 ნორვიჩი**
1:0 ბირჩი (10), 1:1 ჰენდერსონი (52), 1:2 მაკვეიგი (60), 1:3 კრუჩი (64)

**უოტფორდი 1:0 როტერჰემი**
1:0 ვებერი (47)

**ვესტ ბრომვიჩი 0:0 სანდერლენდი**

**უიგანი 5:0 კრისტალ პალასი**
1:0 ლიდელი (10), 2:0 ჰორსფილდი (31), 3:0 ლიდელი (50), 4:0, 5:0 ელინგტონი (56, 69)

**უიმბლდონი 2:1 ბრედფორდი**
0:1 გრეი (34), 1:1 სმოლი (62), 2:1 რეოკოკერი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 17 | 9 | 6 | 2 | 26:13 | 33 |
| ვესტ ბრომვიჩი | 16 | 10 | 2 | 4 | 23:13 | 32 |
| ნორვიჩი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:16 | 31 |
| შეფილდი | 16 | 8 | 4 | 4 | 26:18 | 28 |
| სანდერლენდი | 16 | 8 | 4 | 4 | 19:11 | 28 |
| ვესტ ჰემი | 16 | 7 | 7 | 2 | 19:11 | 28 |
| იფსვიჩი | 17 | 8 | 3 | 6 | 32:26 | 27 |
| მილუოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:16 | 27 |
| კარდიფი | 16 | 6 | 6 | 4 | 27:16 | 24 |
| ნოტინგემი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:19 | 24 |
| რედინგი | 16 | 7 | 3 | 6 | 23:19 | 24 |
| ქრიუ | 16 | 7 | 3 | 6 | 18:19 | 24 |
| პრესტონი | 16 | 7 | 2 | 7 | 23:19 | 23 |
| ქოვენთრი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:22 | 20 |
| ბარნლი | 16 | 5 | 5 | 6 | 24:29 | 20 |
| უოლსოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| უოტფორდი | 16 | 5 | 4 | 7 | 17:20 | 19 |
| ჯილინგემი | 16 | 5 | 4 | 7 | 18:26 | 19 |
| სტოკი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:22 | 17 |
| კრ. პალასი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:29 | 16 |
| დერბი | 17 | 3 | 5 | 9 | 16:31 | 14 |
| როტერჰემი | 17 | 2 | 7 | 8 | 10:26 | 13 |
| ბრედფორდი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:27 | 12 |
| უიმბლდონი | 16 | 3 | 1 | 12 | 17:38 | 10 |



ლივერპულელი სტივ ფინანი ბოა მორტემ შებოჭა

### მეორე დივიზიონი

მე-17 ტური: ბრენტფორდი — ბარნსლი 2:1; ბრისტოლი — ლუტონი 1:1; ჩესტერფილდი — პორტვეილი 1:0; ნოტსი — ჰარტლპული 1:0; პიტერბრო — ბრაიტონი 2:2; პლიმუთი — ოლდემი 2:2; რაშდენი — გრიმსბი 3:1; შეფილდი — ბლექპული 0:1; სტოკპორტი — ქუინზ პარკი 1:2; სვინდონი — უიკომბი 2:0; ტრანმერი — ბორნმუთი 1:1

### მესამე დივიზიონი

მე-17 ტური: ბერი — იოვილი 2:1; ჩელტენემი — იორკი 1:1; დონკასტერი — ტორკი 1:0; ჰალი — მაკლსფილდი 2:2; კიდერმინსტერი — კემბრიჯი 2:2; ლეიტონი — როჩდეილი 2:1; ლინკოლნი — კარლაისლი 2:0; მანსფილდი — ბოსტონი 2:1; ოქსფორდი — დარლინგტონი 3:1; სკანთორპი — ჰადერსფილდი 6:2; საუთენდი — ნორთჰემპტონი 0:1; სუონსი — ბრისტოლი 0:0

# უილაჯო ლაჯები მანჩესტერისთვის ფუჭია



რეინჯერსი — პარტიკი. ნუნუ კაპუშუ სტუმართა მცველს იოლად გასცდა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XI ტური

**რეინჯერსი 3:1 პარტიკი**
1:0 არტეტა (8), 2:0 მოლსი (40), 3:0 არტეტა (77პ), 3:1 გრედი (82)

**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი (ხიზანიშვილი 19), ბერგი, მური, ბოლი, ნუნუ კაპუშუ, არტეტა, ნერლინგერი (ს. ჰიუზი 46), ლოვენკრანდსი, მოლსი, ოსტენსტადი (არველაძე 36)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

49 551 მაყურებელი

**დანდი 1:1 ჰიბერნიანი**
1:0 ნოვო (33), 1:1 რიორდანი (81)

დანდელი გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია

**აბერდინი 0:3 მოზერუელი**
0:1 კრეიგი (10), 0:2 პირსონი (77), 0:3 ლესლი (90)

**დანფერმლაინი 2:0 დანდი იუნ.**
1:0 ტომსონი (59), 2:0 მეჰმეთი (90)

**ჰართსი 3:1 ლივინგსტონი**
0:1 ლილეი (52), 1:1 დე ვრიზი (67), 2:1 კირკი (85), 3:1 პრესლი (90პ)

**კილმარნოკი 0:5 სელტიკი**
0:1 სატონი (21პ), 0:2 ჰარტსონი (70), 0:3 სატონი (76), 0:4 მელოუნი (84), 0:5 სატონი (90პ)

„რეინჯერსმა“ მოიგო, მაგრამ დუნედ, უილაჯოდ ითამაშა. პირველ ტაიმში გლაზგოელმა „ჩაფრებმა“ ოდენ ორი მწვავე შეტევა განახორციელეს და ორივე გოლად აქციეს — მიკელ არტეტამ საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მიხაელ მოლსმა კი ჯეელობა გაიხსენა და ეფექტურად შეაგდო ბურთი „პარტიკის“ კარში.

ფერნანდო რიკსენი და კრისტიან ნერლინგერი ისე დაშავდნენ, რომ დღეს „ოლდ ტრეფორდზე“ ალბათ არ იქნებიან. ქართველებმა შეცვლაზე ითამაშეს, თუმც კოჭმტკივანი შოთა არველაძე ვერ ბრწყინავდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, „რეინჯერსმა“ კლასის ხარჯზე სძლია მეტოქეს და დღეს ასეთი თამაშით დამარცხების გარდა ვერაფერს გამორჩება მანჩესტერში.

უნდა მოეგო გიორგი ნემსაძის გარეშე მოთამაშე „დანდის“, მაგრამ კრეიგ ბერლის გაძევებამ მაინც თავისი ქნა. „ჰიბერნიანი“ ოდენ მატჩის მიწურულს გააქტიურდა და დერეკ რიორდანმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა. ნაჩო ნოვომ მხოლოდ ერთი გოლი გაახერხა, თუმც მას და ფაბრიციო რავანელის რამდენჯერმე მართებდათ გატანა.

**დავით თაგართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 11 | 10 | 1 | 0 | 33:3 | 31 |
| რეინჯერსი | 11 | 8 | 2 | 1 | 30:9 | 26 |
| ჰართსი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:15 | 20 |
| დანდი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:12 | 16 |
| მოზერუელი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 15 |
| დანფერმლაინი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 15 |
| ჰიბერნიანი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 15 |
| ლივინგსტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:13 | 13 |
| კილმარნოკი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:25 | 11 |
| დანდი იუნ. | 11 | 2 | 3 | 6 | 7:19 | 9 |
| აბერდინი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:23 | 7 |
| პარტიკი | 11 | 0 | 2 | 9 | 9:22 | 2 |

### პირველი დივიზიონი

მე-10 ტური.ეარი — კლაიდი 2:2; ბრეჩინი — როს ქაუნთი 4:2; ინვერნესი — ფოლკირკი 1:2; ქუინ ოფ საუთ — სტ. ჯონსტონი 1:1; სტ. მირენი — რეით როვერსი 2:1

### მეორე დივიზიონი

მე-11 ტური. ერდრი — მორტონი 1:6; ბერიკი — არბოთი 3:0; დამბარტონი — ალოა 1:0; ფორფარი — ჰამილტონი 4:3; სტენჰაუზმური — ისტ ფაიფი 3:0

### მესამე დივიზიონი

მე-11 ტური. ქოუდენბითი — სტირლინგი 2:0; ისტ სტირლინგი — ელგინი 3:1; პიტერჰედი — მონტროუზი 0:0; ქუინზ პარკი — გრეტნა 0:1; სტრენრარი — ალბიონი 5:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. X ტური

**ბელენენსეში 0:0 მორეირენსე**

**ლეირია 2:1 ალვერკა**
1:0 ატცი (3), 2:0 პაულუ გომეში (29), 2:1 სუარეში (46)

**აკადემიკა 2:1 ჟილ ვისენტე**
1:0, 2:0 დელმერი (52, 89), 2:1 პაულუ ალვეში (90)

**ბენფიკა 1:2 ბეირა მარი**
1:0 სიმაო (40), 1:1 სანდრო (53), 1:2 ვიჰარდი (64)

**ამადორა 0:1 ფერეირა**
0:1 კეირუში (34)

**გიმარაეში 1:1 მარიტიმუ**
1:0 დიურდიევიჩი (32), 1:1 ალან სილვა (49)

**სპორტინგი 1:1 რიუ ავე**
0:1 ევანდრო (45), 1:1 ელპიდიუ სილვა (84)

**პორტუ 1:0 ნასიონალი**
1:0 კარვალიუ (53)

**ბრაგა — ბოავიშტა**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 10 | 9 | 1 | 0 | 24:6 | 28 |
| ბეირა მარი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| სპორტინგი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:13 | 19 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 3 | 1 | 10:6 | 18 |
| ბენფიკა | 9 | 5 | 2 | 2 | 16:10 | 17 |
| ბრაგა | 9 | 5 | 2 | 2 | 10:8 | 17 |
| ბოავიშტა | 9 | 4 | 4 | 1 | 10:4 | 16 |
| ნასიონალი | 10 | 5 | 0 | 5 | 15:9 | 15 |
| ალვერკა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:9 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 10 | 3 | 2 | 5 | 14:11 | 11 |
| აკადემიკა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| ლეირია | 10 | 3 | 2 | 5 | 12:17 | 11 |
| მორეირენსე | 10 | 3 | 2 | 5 | 7:14 | 11 |
| რიუ ავე | 10 | 2 | 4 | 4 | 10:11 | 10 |
| ბელენენსეში | 9 | 2 | 4 | 3 | 11:17 | 10 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| ფერეირა | 10 | 2 | 0 | 8 | 4:18 | 6 |
| ამადორა | 9 | 1 | 1 | 7 | 5:22 | 4 |

### მეორე დივიზიონი

მე-10 ტური. სეტუბალი — მაია 3:1; პორტიმონენსე — სანტა კლარა 3:0; პენაფიელი — ფეირენსე 1:0; ვარზიმი — ნავალი 1:0; შავეში — კოვილია 0:0; მადეირა — სალგეიროში 1:2; ლეიშოეში — ფელგეირაში 0:0; ოვაირენსე — ესტორილი 1:1; მარკუ — ავეში 1:0

## ბელგია

### იუპილერლიგა. XI ტური

**ლიერსი 0:0 გენტი**

**მუსკრონი 0:1 ანდერლეხტი**
0:1 ვანდერეგე (33)

**ბეერსხოტი 0:2 ვესტერლო**
0:1 ვერჰეენი (39), 0:2 ნატამა (88)

**ლოკერენი 2:0 ბრიუგე**
1:0 დობა (6), 2:0 კრისტიანსონი (45)

**მონსი 3:4 სენტ ტრუიდენი**
0:1 იანსენი (16), 1:1 ბანი (21), 1:2 ბუვენსი (53), 1:3 ფრანკენი (64), 2:3 გომისი (85), 2:4 მბონაბუკია (88). 3:4 კენმონი (89)

**გენკი 3:1 ანტვერპენი**
1:0 ვანდენბერგი (20), 1:1 პივალიევიჩი (21), 2:1 ტიისი (26), 3:1 რუსელი (78)

**სტანდარდი 4:0 ბევერენი**
1:0 კაკლამანოსი (7), 2:0 ვალასიაკი (13), 3:0 ალიუ-დატი (72), 4:0 ბანგურა (84)

**სერკლ ბრიუგე 2:1 ლუვიე**
1:0 არისი (59), 1:1 მამუნი (74), 2:1 ტბარი (75)

**შარლერუა 2:1 ჰეუსდენი**
0:1 ორიგი (15), 1:1 დუფერი (31), 2:1 ჟილსონი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 11 | 10 | 1 | 0 | 32:6 | 31 |
| გენკი | 11 | 7 | 2 | 2 | 24:14 | 23 |
| სტანდარდი | 11 | 7 | 1 | 3 | 20:9 | 22 |
| მუსკრონი | 11 | 5 | 4 | 2 | 19:11 | 19 |
| ბრიუგე | 11 | 5 | 3 | 3 | 23:14 | 18 |
| ვესტერლო | 11 | 5 | 3 | 3 | 16:17 | 18 |
| სტ. ტრუიდენი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:14 | 16 |
| ლუვიე | 11 | 3 | 6 | 2 | 16:11 | 15 |
| გენტი | 11 | 3 | 6 | 2 | 13:11 | 15 |
| ლიერსი | 11 | 3 | 5 | 3 | 12:13 | 14 |
| სერკლი | 11 | 3 | 5 | 3 | 8:12 | 14 |
| ბეერსხოტი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | 13 |
| ანტვერპენი | 11 | 3 | 1 | 7 | 8:23 | 10 |
| მონსი | 11 | 1 | 6 | 4 | 10:17 | 9 |
| ლოკერენი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| ბევერენი | 11 | 3 | 0 | 8 | 11:25 | 9 |
| შარლერუა | 11 | 1 | 4 | 6 | 5:11 | 7 |
| ჰეუსდენი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:20 | 5 |

### მეორე დივიზიონი

მე-12 ტური. დაინცე — დენდერლეუ 1:1; ეუპენი — ვირტონი 2:0; ტუბიცე — ჰამე 3:0; გეელი — ოსტენდე 5:1; ინგელმუნსტერი — დეხელი 1:2; რონსი — ვიზეტი 0:0; აალსტი — რუზელარე 1:1; ტინენი — პატრო 0:3

# დიდებული, ულამაზესი, სასარგებლო



ტიაგო მოტა და რონალდინიო: „ბარსელონას" პირველი გოლი ბრაზილიელებმა გამოაცხვეს

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. X ტური

**მალიორკა 0:5 ვალენსია**

0:1 ხორხე ლოპესი (23), 0:2 ოლივეირა (7), 0:3 ხისკო (43), 0:4, 0:5 ოლივეირა (45, 76)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (ლუსენჰოფი 11), ნაგორე, კოლსა, ი. სტანკოვიჩი (ტონი გონსალესი 14), ეტოო, კორეა (ხესუს პერერა 50)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ვალენსია: კანისარესი, აიალა, კარბონი, დავიდ ნავარო, კურო ტორესი, ალბელდა, ბარახა (სისოკო 46), კანობიო (რუფეტე 59), ხორხე ლოპესი, ოლივეირა, აიმარი (ხისკო 73)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ნაგორე, ბარახა, დავიდ ნავარო, კარბონი
გაძევება: ნინიო (1)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
21 330 მაყურებელი

**რეალი 3:0 ბილბაო**

1:0, 2:0 რონალდო (33, 54), 3:0 ფიგუ (70)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექჰემი (ბორხა 88), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი, ლუის პრიეტო (სეზარი 65), ირაოლა (ურსაისი 56), გურპეგი, დელ ორნო, ხონანი (ი. გერერო 73), ტიკო, ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: სალგადო, გუტი, ტიკო, ბექჰემი, ირაოლა, ლუის პრიეტო, ხონანი, დელ ორნო, ზიდანი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
69 433 მაყურებელი

**მურსია 0:0 დეპორტივო**

მურსია: ხუანმი, ხუანმა, კარერასი, კუადრადო, პაბლო ლაგო, ფრედი (ხულიო ალვარესი 72), აკიარი, იენსენი, დ. კარანკა (ესნაიდერი 72), ლუის გარსია, რიჩი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, სესარი, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო (დუშერი 76), სკალონი (ვიქტორი 87), ვალერონი, პანდიანი, ლუკე (ფრანი 39)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: კუადრადო, კარერასი, მანუელ პაბლო, მაურო სილვა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 300 მაყურებელი

**სოსიედადი 3:3 ბარსელონა**

0:1 მოტა (34), 1:1 ხაურეგი (56), 2:1 დე პედრო (59), 2:2 ოვერმარსი (72), 3:2 კარპინი (76), 3:3 გაბრი (81)
სოსიედადი: ვესტერფელდი, არანსაბალი, შურერი, ხაურეგი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, კარპინი, დე პედრო, ალკისა, კოვაჩევიჩი (დე პაულა 50), ნიჰატი (ლი 83)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, კოკუ, ვან ბრონკჰორსტი, გაბრი, კვარესმა (ლუის ენრიკე 76), მოტა, ხავი, სავიოლა (კლუივერტი 65), რონალდინიო, ლუის გარსია (ოვერმარსი 65)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ხაბი ალონსო, ხავი, ნიჰათი, გაბრი, მოტა, მოტა, ოვერმარსი, ალკისა
გაძევება: მოტა (78)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
28 800 მაყურებელი

**ბეტისი 1:2 ატლეტიკო**

1:0 ასუნსაო (20), 1:1, 1:2 ტორესი (40, 49პ)
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ტაისი (არზუ 63), ლემბო, ფერნანდო (კაპი 63), დენილსონი, იტო (დანი 77), ხოაკინი, მ. ასუნსაო, ტოტე
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ატლეტიკო: ხუანმა, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, მუსამპა, ხორხე (როდრიგო 75), სიმეონე (სანტი 44), ნოვო, ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი (მოვილია 69)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, გასპარი, დენილსონი, ხუანიტო, ნიკოლაიდისი, ტაისი, ტორესი, სერხი, ასუნსაო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
49 475 მაყურებელი

**სელტა 0:1 რასინგი**

0:1 ბენაიუნი (2)
სელტა: პინტუ, სილვინიო, კასერესი (კატანია 76), ანხელი, სერხიო, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო (ხუანფრანი 49), ლუქსენი, ოუბინია (გუსტავო ლოპესი 61), მილოშევიჩი, ხესული
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რასინგი: რიკარდო, კორომინა, ნერუ, პაბლო კასარი, ხუანმა, მორანი, რეგუერო (აიოზე 71), მატეო, მატაბუენა (ანდერსონ სილვა 79), ბოდიპო (ხ. გერერო 82), ბენაიუნი
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ხუანმა, სერხიო, კორომინა, ხუანფრანი, ლუქსენი, ლუქსენი
გაძევება: ლუქსენი (89)
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
22 578 მაყურებელი

**მალაგა 2:0 სევილია**

1:0 დუდა (2), 2:0 სალვა (22პ)
მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, ფ. სანსი, რომერო, მანუ (ხერარდო 56), დუდა (ინსუა 76), მიგელ ანხელი, ედგარი, სალვა (დიეგო ალონსო 64)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, პაბლო ალფარო, გალიარდო (ანტონიტო 46), მარტი, კასკერო (ანტონიო ლოპესი 79), რეიესი, ლუის გილი (კარლოსი 65)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: მანუ, დარიო სილვა, ხოსემი, დავიდ კასტედო, ლუის გილი, რომერო, მარტი, ვალკარსე, ხავი ნავარო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
35 245 მაყურებელი

**ვილიარეალი 1:0 ოსასუნა**

1:0 გიარე (21)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, კოლოჩინი, ბელეტი, ბალესტეროსი, ხოსიკო (ხისკო 89), როხერი, რიკელმე (არზო 89), ს. ანდერსონი, გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, მატეო, კრუჩაგა, ალფრედო (რივერო 56), მოა, ვალდო (ივან როსადო 62), მუნიოსი, ალონზი, ბაკაიოკო (ვებო 74)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ალფრედო, ანტონიო ლოპესი, არუაბარენა, ხოსიკო, მარტი, ბელეტი
მსაჯი: მორენო დელგადო
10 920 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:2 სარაგოსა**

0:1 გალეტი (10), 0:2 სორიანო (23)
ესპანიოლი: ლემენსი, დავიდ გარსია, ტორიჩელი, დომორო (ფრედსონი 72), ლოპო, მორალესი, მაქსი, ტაიფუნი, ალექს ფერნანდესი (ბობსონი 35), რაულ მოლინა (კორომინასი 61), კრუიფი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, მილიტო, ალვარო, ტოლედო, გალეტი, სავიო (ჩანი 80), პონციო, კორონა (ივან ესპადასი 85), სორიანო, ვილა
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: მორალესი, კრუიფი, დომორო, მორალესი, ვილა
გაძევება: მორალესი (63)
მსაჯი: პერეს ბურული
41 250 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 ალბასეტე**

1:0 მაკუკულა (34), 2:0 ლოსადა (89)
მაკუკულამ ვერ გაიტანა პენალტი (26, მეკარე)
ვალიადოლიდი: ბიზარი, ჟონათანი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ოსკარი (ლოსადა 68), ჩემა (კარდეტი 46), საპატა, რიკეტი (პაბლო პასი 87), კამინერო, მაკუკულა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ალბასეტე: როა, ოსკარი, კრისტიან დიასი, პაბლო, ბუადესი, ვიაუდი (არანდა 69), პარი, დავიდ სანჩესი (მაჩეკო 55), კ. მუნტიანუ, პაბლო გარსია (ივან დიასი 53), მიკელი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ჟონათანი, რიკეტი, მუნტიანუ, ჟულიო სეზარი, კრისტიან დიასი
გაძევება: როა (88)
მსაჯი: ესკინას ტორესი
21 200 მაყურებელი

ხუთი გაძევება ოთხ მატჩში — ზოგადად, ამაზე მეტიც გვახსოვს, მაგრამ ცოტა ნაღდად არ არის. ერთი საინტერესო ფაქტიც: იმ ხუთი გუნდიდან, რომლებსაც ფეხბურთელები გაუძევეს, ერთმაც ვერ მოიგო.

მარჩიელობა არ უნდა — ტურის მთავარი შეხვედრა სან სებასტიანში გაიმართა, სადაც „სოსიედადმა" და „ბარსელონამ" მეორე ტაიმში ხუთი გოლი გაიტანეს.

თავიდან „ბარსა" დაწინაურდა, მაგრამ ბასკებმა იმდენი მოახერხეს, რომ ჯერ გაათანაბრეს, მერე კი წინაც გაიჭრნენ. მერე სტუმართა ჯერი დადგა და მათ მოუხდათ გათანაბრება, რის შემდეგაც „სოსიედადი" კიდევ ერთხელ დაწინაურდა. „ბარსამ" მეორედაც გაათანაბრა და სან სებასტიანიდან ერთი ქულის წაღებას რონალდინიოს უნდა უმადლოდეს. ბრაზილიელმა მართალია, კატალონიელთა სამი გოლიდან ერთიც ვერ გაიტანა, მაგრამ პირველი და მესამე გოლები მისი დამსახურებაცაა. ტიაგო მოტამ რონალდინიოს ჩაწოდებული საჯარიმო დარტყმის მერე გახსნა ანგარიში, გაბრიმ კი საბოლოოდ მას მერე გაათანაბრა, რაც რონალდინიომ მასპინძელთა ლამის მთელი დაცვა მოატყუა.

დიდებული თამაშისთვის თუ რონალდინიო შევაქეთ, ტურის ულამაზესი გოლის ავტორობა ფერნანდო ტორესს უნდა მივაწეროთ. თუმცა ტორესის გოლამდე „რეალ ბეტისი" დაწინაურდა. მარკუს ასუნსაომ, როგორც სჩვევია, უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო. 19 წლის ატლეტიკოელის გოლის ნახვა კი მართლა ერთ რამედ ღირდა — ჰაერში კამარა შეკრა და ზუსტად გაისროლა. და თუ გოლის სილამაზეს თავს დავანებებთ და სარგებლიანობაზე ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტორესის მეორე გოლმა მადრიდელებს გამარჯვება მოუტანა. ეს გოლი ტორესმა პენალტით გაიტანა, რომელიც თავის მხრივ დემის ნიკოლაიდისის საჯარიმოში წაქცევისთვის დაინიშნა.

შეტევის დამასრულებელ ფაზებში რონალდოს ბრწყინვალე თამაშით და იკერ კასილიასის არანაკლებ ბრწყინვალე მოგერიებებით მადრიდის „რეალმა" ბილბაოს „ატლეტიკს" სძლია. რონალდომ კი, ორი გოლის გატანის გარდა ისიც გააკეთა, რომ ლუიშ ფიგუს მესამე გოლი გაატანინა.

შაბათსვე, როცა „რეალმა" სამი ქულა მოიხვეჭა, ლიდერმა „დეპორტივომ" შეუძლებელი შეძლო — წყალწაღებულ „მურსიას" ვერ მოუგო და ლიდერობაც დედაქალაქელებს გადააბარა.

ცხადია, იფიქრებთ, რომ ლაკორუნიელები მასპინძლებს გამუდმებით უტევდნენ, აურაცხელ საგოლე მომენტს ჰქმნიდნენ და ბურთი კი, თითქოს მოჯადოებული ყოფილიყოს, კარში არა და არ გადიოდა. ამ ვარაუდიდან სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ „დეპორტივო" მეტხანს აკონტროლებდა ბურთს, საგოლე მომენტებისა კი რა მოგახსენოთ — უნაღდესი მომენტი მურსიელებმა შექმნეს, როცა დავიდ კარანკამ ძელს გაარტყა.

ამგვარად, შაბათის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე „რეალი" გადაბარგდა და მისი გადასწრება, ისიც ბურთების უკეთესი შეფარდებით, მხოლოდ „ვალენსიას" შეეძლო. საამისოდ რაფაელ ბენიტესის გუნდს პალმა დე მალიორკაში ოთხი ბურთის სხვაობით უნდა მოეგო.

ძნელად შესასრულებელი ამოცანა ჩანდა, თუნდაც იმიტომ, რომ „მალიორკას" ახალმა მწვრთნელმა, მრავლის მნახველმა და მცოდნე ლუის არაგონესმა წინა ტურში თავისი ბიჭები ისე ათამაშა, „დეპორტივო" დაამარცხებინა.

მაგრამ რა მოხდა — მეორე წუთზე „მალიორკა" ათი ფეხბურთელით დარჩა და გოლიც გაუშვა. ამგვარმა დასაწყისმა მასპინძლებს თავგზა აუბნია და ინებეთ: „ვალენსიამ" გასალიდერებლად საჭირო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

**კოტე ძეძელია**

### სეგუნდადივიზიონი. X ტური

**ტერასა 1:1 ტენერიფე**

0:1 ხესუსი (72), 1:1 ნავასი (81)

**ულვა 1:0 კადისი**

1:0 გალანი (68)

**რაიო ვალეკანო 0:1 ეიბარი**

0:1 საისარი (67)

**ლას პალმასი 1:1 ხეტაფე**

0:1 ვივარ დორადო (12), 1:1 რუბენი (78)

**ლეგანესი 0:2 ნუმანსია**

0:1, 0:2 კომე (58, 88)

**ლევანტე 1:0 მაგალა 0**

1:0 კუელიარი (49)

**კორდობა 2:0 ალხესირასი**

1:0 ს. გონსალესი (61), 2:0 ოლივერა (75)

**პოლი ეხიდო 0:0 სპორტინგი**

**ხერესი 0:1 ალმერია**

0:1 ფრანსისკო (22)

**სალამანკა 3:1 ალავესი**

1:0 რაულ სანჩესი (24), 1:1 ასტუდილიო (36), 2:1 დ. კანო (41), 3:1 ზე ტო (67)

**ელჩე 2:2 სიუდად მურსია**

0:1 აგილარი (4), 1:1 ხუან კარლოსი (30), 2:1 გრანერო (39), 2:2 გუიზა (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 10 | 7 | 1 | 2 | 17:8 | 22 |
| ალმერია | 10 | 5 | 5 | 0 | 12:7 | 20 |
| ლევანტე | 10 | 5 | 4 | 1 | 12:4 | 19 |
| ეიბარი | 10 | 4 | 4 | 2 | 9:6 | 16 |
| კადისი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:11 | 16 |
| ალავესი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:8 | 15 |
| სპორტინგი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:11 | 13 |
| სიუდად მურსია | 10 | 2 | 7 | 1 | 13:12 | 13 |
| ტენერიფე | 10 | 2 | 7 | 1 | 9:8 | 13 |
| ულვა | 10 | 2 | 7 | 1 | 9:8 | 13 |
| ხეტაფე | 10 | 2 | 7 | 1 | 9:9 | 13 |
| ელჩე | 10 | 3 | 4 | 3 | 13:14 | 13 |
| სალამანკა | 10 | 2 | 6 | 2 | 9:9 | 12 |
| ლას პალმასი | 10 | 2 | 6 | 2 | 12:13 | 12 |
| ლეგანესი | 10 | 2 | 6 | 2 | 7:8 | 12 |
| ხერესი | 10 | 1 | 7 | 2 | 5:8 | 10 |
| ეხიდო | 10 | 2 | 4 | 4 | 9:13 | 10 |
| კორდობა | 10 | 1 | 6 | 3 | 7:8 | 9 |
| ალხესირასი | 10 | 1 | 5 | 4 | 10:12 | 8 |
| რაიო | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| ტერასა | 10 | 1 | 3 | 6 | 8:16 | 6 |
| მალაგა B | 10 | 0 | 5 | 5 | 7:13 | 5 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვალენსია | 10 | 7 | 2 | 1 | 21:5 | 16 | 23 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 12 |
| 2 რეალი | 10 | 7 | 2 | 1 | 23:9 | 14 | 23 | 5 | 5 | 0 | 0 | 17:5 | 12 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 3 დეპორტივო | 10 | 7 | 1 | 2 | 19:8 | 11 | 22 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 |
| 4 ოსასუნა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 17 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 5 |
| 5 ბარსელონა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 16 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 |
| 6 ატლეტიკო | 10 | 5 | 1 | 4 | 13:13 | 0 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | -3 | 6 |
| 7 რასინგი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:11 | 2 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 8 |
| 8 ბილბაო | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 0 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 7 | 12 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:10 | -7 | 2 |
| 9 ვილიარეალი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:11 | 0 | 14 | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 1 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 |
| 10 ვალიადოლიდი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:18 | -4 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 3 | 12 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:13 | -7 | 2 |
| 11 ბეტისი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:13 | 0 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 12 მალაგა | 10 | 4 | 1 | 5 | 12:14 | -2 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 3 |
| 13 სოსიედადი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | -2 | 13 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 4 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 4 |
| 14 სევილია | 10 | 2 | 6 | 2 | 12:13 | -1 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 | 5 | 0 | 4 | 1 | 6:8 | -2 | 4 |
| 15 სარაგოსა | 10 | 3 | 2 | 5 | 8:10 | -2 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 16 სელტა | 10 | 2 | 4 | 4 | 13:14 | -1 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 6 |
| 17 ალბასეტე | 10 | 3 | 0 | 7 | 10:15 | -5 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:10 | -8 | 0 |
| 18 მალიორკა | 10 | 2 | 2 | 6 | 9:20 | -11 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:10 | -5 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 19 მურსია | 10 | 1 | 4 | 5 | 7:16 | -9 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | -8 | 1 |
| 20 ესპანიოლი | 10 | 1 | 2 | 7 | 8:22 | -14 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 8 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 7 |
| პანდიანი (დეპორტივო) | 6 |
| მისტა (ვალენსია) | 6 |

**XI ტური**

9 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ალბასეტე | — | მალაგა |
| ბილბაო | — | ესპანიოლი |
| ატლეტიკო | — | ვილიარეალი |
| ბარსელონა | — | ბეტისი |
| დეპორტივო | — | სოსიედადი |
| სევილია | — | რეალი |
| ვალენსია | — | რასინგი |
| სარაგოსა | — | სელტა |
| მალიორკა | — | მურსია |
| ოსასუნა | — | ვალიადოლიდი |



REUTERS

მილანი — იუვენტუსი. მასპინძლები იონ დალ ტომასონმა დააწინაურა

# წესის დაცვით

## იტალია

### სერია A. VIII ტური

**მილანი 1:1 იუვენტუსი**

1:0 ტომასონი (65), 1:1 დი ვაიო (84)
**მილანი:** დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, სერჟინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 64), რუი კოშტა (კაკა 78), შევჩენკო, ტომასონი (პანკარო 74)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (მიკოლი 74), ტაკინარდი (მარესკა 81), აპია, ნედვედი (იულიანო 87), ტრეზეგე, დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ძამბროტა, ზეედორფი
მსაჯი: რაკალბუტო
80 000 მაყურებელი

**რომა 2:0 რეჯინა**

1:0 მონტელა (18), 2:0 კარეუ (76)
**რომა:** პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, მანჩინი, ემერსონი, დაკური, ფ. ლიმა, ტოტი, მონტელა (დე როსი 60), ა. კასანო (კარეუ 78)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**რეჯინა:** ბელარდი, ჟირანეკი (ლეონი 50), ხოტილი, ი. ფრანჩესკინი (ჯაკეტა 64), ჟ. მარტინესი, ბაიოკო (ნაკამურა 77), მოცარტი, პარედესი, ფალზინი, დი მიკელე, ბონაცოლი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ძებინა, სამუელი, ფრანჩესკინი
მსაჯი: პელეგრინო
50 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:2 ლაციო**

0:1 კორადი (17), 1:1 იაკინტა (28), 1:2 ინძაგი (33)
**უდინეზე:** დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, კასტრომანი (პიერი 46), პინცი, პაზიენცა (მუნტარი 78), იანკულოვსკი, იაკინტა (ნომვეტე 70), ფავა, იორგენსენი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
**ლაციო:** სერენი, ოდო, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ძაური, ფიორე (ფავალი 83), ლივერანი, დაბო (ჯანიკედა 78), დ. სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი (კ. ლოპესი 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ინძაგი, ლივერანი, პინცი
მსაჯი: ტრეფოლონი
16 000 მაყურებელი

**კიევო 0:2 ინტერი**

0:1 ვიერი (64), 0:2 რეკობა (67)
**კიევო:** მარკეჯანი, მორო, სალა, დანა, ლანა, სემიოლი (პელისიერი 51), პეროტა, ბარონიო (მორონე 65), სანტანა, ამაური (ფრეცოლინი 36), ფ. კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
**ინტერი:** ტოლდო, კორდობა, მატერაცი, ფ. კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა (მარტინსი 52), კ. ძანეტი, კოკო (პელვეგი 82), ემრე (ფარინოსი 72), ვიერი, რეკობა
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: დანა, პეროტა, ალმეიდა, ლანა
გაძევება: მარკეჯანი (35)
მსაჯი: მესინა
25 054 მაყურებელი

**ბრეშა 2:3 პარმა**

1:0 მატუზალემი (3), 1:1 მორფეო (11), 2:1 დი ბიაჯო (37), 2:2 მარკიონი (42), 2:3 ჯილარდინო (70)
**ბრეშა:** სახა, სტანკევიჩიუსი (გონსალესი 86), გ. მარტინესი, მარეკო, დაინელი, პიზანო (მანიერო 77), ბაკინი (კორეა 77), დი ბიაჯო, მატუზალემი, რ. ბაჯო, კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
**პარმა:** ფრეი, ბონერა, მ. ფერარი, მ. კასტელინი, ჟუნიორი, ბარონე, დონადელი, მარკიონი, მორფეო (ბოლანო 85), ადრიანო (ჯილარდინო 46), ბრეშიანო (ნაკატა 59)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ფერარი, დი ბიაჯო
გაძევება: მატუზალემი (78), დონადელი (90)
მსაჯი: ბერტინი
16 000 მაყურებელი

**ბოლონია 0:1 სამპდორია**

0:1 დონი (33)
**ბოლონია:** პალიუკა, ძაკარდო (გუგლიელმინპიეტრო 14), ნატალი, ჟუარესი, ნერვო (ტროიზე 61), დალა ბონა, ლ. კოლუჩი, პეკია (ტარე 46), მორეტი, ბელუჩი, როსინი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
**სამპდორია:** ანტონიოლი, საკეტი, კაროციერი, ფალკონე, ბეტარინი, დიანა (კ. ძენონი 64), დონატი (პალომბო 90), ვოლპი, დონი, ფლაკი (მარაცინა 57), ბაცანი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ნერვო, კოლუჩი, დონატი, კაროციერი, ბელუჩი, ვოლპი, ბაცანი
მსაჯი: ფარინა
22 000 მაყურებელი

**მოდენა 1:0 პერუჯა**

1:0 ალეგრეტი (49)
**მოდენა:** ბალოტა, პივოტო, ჩევოლი, უნგარი, კამპედელი, მარასკო, მილანეტო, ბალესტრი, დ. კამარა (პონცო 75), ალეგრეტი (ტალდო 86), ნ. ამორუზო (კორენტი 90)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
**პერუჯა:** კალაჩი, გროსო, დი ლორეტო, დიამუტენე, კოლი, ფუზანი (ჟენევიე 75), ობოდო, ტედესკო, დო პრადო, ბოტროიდი (ბერეტონი 78), ვრიზასი (მარჯოტა 46)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ფუზანი, ბოტროიდი, ბალესტრი, ობოდო, მარასკო
მსაჯი: მორგანტი
14 000 მაყურებელი

**ანკონა 0:0 სიენა**

**ანკონა:** სკარპი, ბილიკა, ვიალი, მილანეზე, კარუზი, ბერეტა, სომეზე, პარენტე (პეროვიჩი 76), ბაჩინი, ბრუნო (პანდევი 83), განცი (უბნერი 61)
მწვრთნელი: ნედო სონეტი
**სიენა:** ჯ. როსი, ჩირილო, კუფრე, არჯილი, გიგუ, ტადეი (ლაზეტიჩი 65), დაველსა, არდიტო, ბონომი (ფოლიო 77), ფლო, კიეზა (ვენტოლა 74)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: არდიტო, გიგუ, პანდევი
მსაჯი: პრესკერნი
15 000 მაყურებელი

**ლეჩე 2:1 ემპოლი**

1:0, 2:0 ჩევანტონი (13, 43), 2:1 როკი (59)
**ლეჩე:** ამელია, სივილია, კ. სილვესტრი, სტოვინი, აბრუცეზე, კასეტი, ჯაკომაცი, პიანჯერელი, ტონეტო, ბოჟინოვი (კონანი 82), ჩევანტონი
მწვრთნელი: დელიო როსი
**ემპოლი:** ბუჩი, ბელერი, ლუკინი (ლანძარო 46), პრატალი, კუპი, ბუში, გრელა, ფიჩინი (გასპარეტო 52), პ. ძანეტი, როკი, დი ნატალე (აგოსტინი 66)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: პიანჯერელი, პრატალი, გასპარეტო, ჩევანტონი
გაძევება: ლანძარო (73)
მსაჯი: როზეტი
9 462 მაყურებელი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 8 | 6 | 2 | 0 | 16:4 | 12 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 10 |
| 2 იუვენტუსი | 8 | 6 | 2 | 0 | 19:8 | 11 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:4 | 7 | 10 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 |
| 3 რომა | 8 | 5 | 3 | 0 | 16:3 | 13 | 18 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 12 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 1 | 6 |
| 4 პარმა | 8 | 5 | 2 | 1 | 16:9 | 7 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 7 |
| 5 ლაციო | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 |
| 6 ინტერი | 8 | 3 | 4 | 1 | 8:5 | 3 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 8 |
| 7 მოდენა | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 2 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 4 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 8 უდინეზე | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 2 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 7 |
| 9 კიევო | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 1 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 10 სიენა | 8 | 2 | 4 | 2 | 10:7 | 3 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 11 სამპდორია | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 12 რეჯინა | 8 | 1 | 5 | 2 | 9:12 | -3 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | -2 | 3 |
| 13 ბრეშა | 8 | 1 | 3 | 4 | 14:20 | -6 | 6 | 4 | 0 | 3 | 1 | 9:10 | -1 | 3 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 14 ლეჩე | 8 | 2 | 0 | 6 | 9:19 | -10 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | -9 | 0 |
| 15 ბოლონია | 8 | 1 | 2 | 5 | 9:13 | -4 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:8 | -5 | 0 |
| 16 პერუჯა | 8 | 0 | 5 | 3 | 9:16 | -7 | 5 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:10 | -7 | 1 |
| 17 ანკონა | 8 | 0 | 3 | 5 | 4:15 | -11 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 18 ემპოლი | 8 | 0 | 2 | 6 | 5:20 | -15 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | -11 | 0 |

რატომ, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სერია A-ში დიადთა შეხვედრები ძალიან ხშირად ფრედ მთავრდება და თანაც, ერთ-ერთმა გუნდმა გამათანაბრებელი გოლი აუცილებლად მატჩის ბოლო წუთებზე უნდა გაიტანოს. ამ წესს, ცხადია, გამონაკლისებიც აქვს, მაგრამ გამონაკლისი ხომ წესის წესია.

მოკლედ, „მილანი“ — „იუვენტუსის“ მატჩზე მოგახსენებთ, რომელიც თავისთავად ხომ ძალიან საინტერესო უნდა ყოფილიყო და ამასთანავე ერთპიროვნული ლიდერის ვინაობაც უნდა გაერკვია. მატჩმა ვერაფერი გაარკვია, თუმცა საინტერესო ნამდვილად იყო.

ანგარიში „სან სიროს“ ბინადრებმა გახსნეს. იონ დალ ტომასონმა ანდრეა პირლოს პასი შეირგო და მეკარის ბაქნიდან გაიტანა. ეს ამბავი შეხვედრის დასრულებამდე 25 წუთით ადრე მოხდა.

„იუვენტუსმა“ საპასუხო, როგორც მოგახსენეთ, ბოლოსკენ გაიტანა და გვარიანად ლამაზი გოლიც გამოდგა: დავიდ ტრეზეგეს ჩაწოდებულ ბურთს მარკო დი ვაიომ ბალახზე დაშვება არ აცალა და ცაციათი ზედა კუთხეში ჩაჭედა. ამგვარად, „მილანი“ და „იუვენტუსი“ კვლავაც ერთნაირი ქულებით უდგანან ცხრილს სათავეში, ჩვენს კახა კალაძეს კი ცნობილ მიზეზთა გამო ისევ არ უთამაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ მილანური ფრეთი უამრავმა გუნდმა გაიხარა. მესამეადგილოსანი „რომათი“ დაწყებული და მეშვიდეადგილოსანი „ინტერით“ დამთავრებული, ყველამ მოიგო და მაშასადამე, ლიდერებთან ჩამორჩენა ორ-ორი ქულით შეამცირეს.

ალბერტო ძაკერონის მისალოცად აქვს საქმე. მან მოახერხა და „ინტერს“, რომელსაც იქამდე ხუთ მატჩში ვერ მოეგო, ვერონადან სამი ქულა წაალებინა.

„კიევოს“ 35-ე წუთზე მეკარე ლუკა მარკეჯანი გაუგდეს, რომელმაც კრისტიან ვიერის წინაალმდეგ იუხეშა. იქამდე ალვარო რეკობას ძელისთვისაც ჰქონდა ბურთი გარტყმული და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „ინტერს“ იოლად უნდა მოეგო.

მაგრამ მილანელებს საკმაო ხანს მოუხდათ ცდა. ვიერიმ თავისიანები მაშინ დააწინაურა, როცა თამაშის დამთავრებამდე ნახევარ საათზე ნაკლები რჩებოდა. ამან „მფრინავი ვირები“ საბოლოოდ გატეხა და ოთხ წუთში რეკობამ მეორე გოლიც გაიტანა. დავძინოთ, რომ პირველი გოლიც რეკობას პასით გავიდა.

მეოთხეადგილოსანმა „პარმამ“ ბრეშაში თავისი მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, თუმცა გვარიანი ჯაფა კი დაადგა. პარმელები ორჯერ ჩამორჩნენ მასპინძლებს ანგარიშში და ორჯერვე არათუ გაათანაბრეს, გამარჯვების გოლიც გაიტანეს. საინტერესო ფაქტი: „პარმამ“ ალბერტო ჯილარდინოს გოლით მოიგო, ეს ყმაწვილი ფეხბურთელი კი მოედანზე მხოლოდ იმიტომ იყო, რომ პარმელებს ადრიანო დაემტვრათ და უკეთესი შემცვლელი არ აღმოაჩნდათ. თუმცა [illegible] უნდა ყოფილიყო.

რომში ჩასულ „რეჯინას“ ოფსაიდის გამო გოლი არ ჩაუთვალეს. იმ დროისთვის რეჯინელები უკვე მარცხდებოდნენ — ვინჩენცო მონტელამ სტუმართა საოფსაიდე მცდელობა ჩაფუშა და სეზონში მესამე გოლი მიითვალა. ეს ყველაფერი პირველ ტაიმში მოხდა, შესვენების მერე კი რომაელებმა კარეუს გოლით თავი სამშვიდობოს დაიგულეს და ლიდერებს ორ ქულამდე მიუახლოვდნენ.

უდინეში პირველი ტაიმის 16-წუთიან მონაკვეთში სამი გოლი გავიდა და მასპინძელთა სამწუხაროდ „უდინეზესი“ მათგან მხოლოდ ერთი იყო.

ანკონაში კი გოლები საერთოდ არ გასულა და იქაურები კვლავაც პირველი გამარჯვების მოლოდინში არიან. ისე, გამარჯვებასთან უფრო ახლოს „ანკონა“ კი არა, „სიენა“ გახლდათ, რომელიც სერია A-ს ახალწვეულის კვალობაზე ძალიან კარგად თამაშობს.

დანარჩენი მატჩებიდან კი გამოვარჩევთ „სამპდორიას“ გამარჯვებას ბოლონიაში, რადგან ამ სეზონში ეს გენუელთა პირველი საგარეო მოგება გახლდათ.

**კოტე ძეძელია**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 8 |
| ადრიანო (პარმა) | 7 |
| კარაჩოლო (ბრეშა) | 5 |
| ფავა (უდინეზე) | 5 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 5 |
| დი ვაიო (იუვენტუსი) | 5 |

**IX ტური**

9 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| ბრეშა | — | ბოლონია |
| ინტერი | — | ანკონა |
| იუვენტუსი | — | უდინეზე |
| პარმა | — | მილანი |
| პერუჯა | — | ლეჩე |
| რეჯინა | — | მოდენა |
| რომა | — | ლაციო |
| სამპდორია | — | ემპოლი |
| სიენა | — | კიევო |

### სერია B. XII ტური

**ალბინოლეფე 2:1 ვიჩენცა**

1:0 კარობიო (20), 1:1 ეუდა (42), 2:1 ფერარი (88)

**აველინო 2:3 ტრევიზო**

0:1 ანაკლერიო (7), 0:2 გობი (16), 1:2 კუტუზოვი (33), 1:3 გობი (34), 2:3 კაპარელა (82)

**კალიარი 1:1 ნაპოლი**

0:1 პაზინო (10), 1:1 ლორია (81)

**ფიორენტინა 1:0 კომო**

1:0 რიგანო (39პ)

**ჯენოა 1:3 კატანია**

1:0 კაჩა (45), 1:1 მასკარა (54), 1:2, 1:3 დელ ვეკიო (69, 90)

**ლივორნო 1:0 ტერნანა**

1:0 პროტი (69პ)

**მესინა 2:2 პესკარა**

0:1 კალაიო (5), 1:1 ზანიოლო (11), 2:1 დი ნაპოლი (21), 2:2 ჯამპაოლო (67)

პალერმო 0:0 ატალანტა

**პიაჩენცა 1:0 ტრიესტინა**

1:0 ბეგეტო (80პ)

**სალერნიტანა 1:1 ვერონა**

1:0 ბოგდანი (13), 1:1 პაპა-ვიაგო (67)

**ტორინო 3:1 ასკოლი**

0:1 ბონფილიო (42), 1:1 ტირიბოკი (61), 2:1 მეცანო (65), 3:1 ტირიბოკი (75)

**ვენეცია 3:2 ბარი**

1:0 ბრელიე (23), 1:1 კორდოვა (27), 2:1 ანდერსონი (79), 3:1 მირამონტესი (90), 3:2 სპინეზი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 12 | 7 | 5 | 0 | 18:7 | 26 |
| ტერნანა | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 23 |
| პალერმო | 12 | 6 | 5 | 1 | 14:8 | 23 |
| ლივორნო | 12 | 6 | 4 | 2 | 16:11 | 22 |
| კატანია | 12 | 6 | 3 | 3 | 21:14 | 21 |
| ტორინო | 12 | 6 | 2 | 4 | 19:13 | 20 |
| პიაჩენცა | 12 | 5 | 4 | 3 | 11:11 | 19 |
| კალიარი | 12 | 5 | 3 | 4 | 23:14 | 18 |
| ფიორენტინა | 12 | 4 | 5 | 3 | 9:8 | 17 |
| ტრევიზო | 12 | 4 | 5 | 3 | 12:12 | 17 |
| ტრიესტინა | 12 | 4 | 4 | 4 | 17:19 | 16 |
| ნაპოლი | 12 | 2 | 9 | 1 | 12:9 | 15 |
| მესინა | 12 | 3 | 6 | 3 | 14:16 | 15 |
| ალბინოლეფე | 12 | 4 | 3 | 5 | 14:18 | 15 |
| ასკოლი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:16 | 15 |
| ვერონა | 12 | 3 | 5 | 4 | 17:17 | 14 |
| პესკარა | 12 | 3 | 5 | 4 | 12:15 | 14 |
| სალერნიტანა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:13 | 13 |
| ვიჩენცა | 12 | 2 | 6 | 4 | 11:12 | 12 |
| ვენეცია | 12 | 2 | 6 | 4 | 11:15 | 12 |
| ჯენოა | 12 | 3 | 3 | 6 | 11:17 | 12 |
| ბარი | 12 | 2 | 4 | 6 | 16:19 | 10 |
| კომო | 12 | 2 | 2 | 8 | 7:18 | 8 |
| აველინო | 12 | 0 | 4 | 8 | 9:20 | 4 |

### სერია C1/A

8-10 ტური: არეცო — ლუკეზე 2:1; ლუმეცანე — ნოვარა 2:1; პადოვა — პიზა 1:0; პავია — პრო პატრია 3:1; პისტოიეზე — ჩიტადელა 1:0; პრატო — სპეცია 2:0; რიმინი — ჩეზენა 1:0; ტორესი — სალე 0:1;ვარეზე — რეჯანა 1:2

### სერია C1/B

8-10 ტური: აკირეალე — სორა 3:0; კიეტი — მარტინა 2:0; კროტონე — ლანჩანო 4:0; ფერმანა — ტერამო 2:0; აკილა — ფოჯა 1:2; პატერნო — პეზარო 0:2; სამბენედეტეზე — ბენევენტო 0:2; ტარანტო — ვიტერბეზე 1:0. *ჯულიანოვა — კატანძარო (იხ. მე-2 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ნატვრაა, ლანდრო იყოს!
## კეთილი და ფეხგაშლილი ვილი

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XII ტური**

**პსჟ 0:1 ლანსი**
0:1 მორეირა (78)

**ლიონი 5:0 ნიცა**
1:0 ჟუნინიო (25), 2:0 მალუდა (27), 3:0 ელბერი (39), 4:0 გოვუ (4:), 5:0 ჟუნინიო (75)

**ბორდო 1:0 მარსელი**
1:0 დარშევილი (45)

**ბასტია 1:1 აიაჩო**
1:0 ფ. მორისი (45), 1:1 რეგრაგი (63)

**ლილი 1:3 გენგამი**
0:1 ბურანი (70), 0:2 გუსე (84), 0:3 ბურანი (88), 1:3 ბენუა შეირუ (90)

**მეცი 0:1 სოშო**
0:1 ფრო (12)

**მონაკო 4:2 ლე მანი**
1:0 მორიენტესი (6), 1:1 კუზინი (9), 1:2 პეირლედი (11), 2:2 კუზინი (19ს.კ.), 3:3 სკილაჩი (66), 4:2 მოლეფე (85ს.კ.)

**მონპელიე 4:1 ნანტი**
1:0, 2:0 რუი პატაკა (1, 19), 3:0 ასუმანი (32), 3:1 არმანი (63), 4:1 ბომაგო (82)

**რენი 1:1 სტრასბური**
1:0 ფრეი (27), 1:1 ნიანგი (71)

**ტულუზი 0:3 ოსერი**
0:1 ედუარდო (7ს.კ.), 0:2 კალუ (25), 0:3 ვიოლო (90)

ნაქები დაცვის პატრონი „ნიცა" ჩემპიონს ესტუმრა და „ლაჟვარდოვანთა" სიძლიერის მითი ლიონში დაიმსხვრა. 11 ტურში ოდენ 7 გოლის გამშვებ გუნდს ლიონელებმა პირველ ტაიმში ოთხი გაუტანეს, შესვენების შემდეგ კი ჟუნინიომ ანგარიში ხუთამდე დაამრგვალა.

ნიცელთა რბევა ჩია ბრაზილიელმა დაიწყო, რომელსაც ფლორენ მალუდა აჰყვა, ხოლო ჯოვანი ელბერი საფეხბურთო ბიბლიას კიდევ ერთი გოლით შეემატა. სტუმართა მარცხი მხოლოდ ჩემპიონთა დამსახურება არ გახლავთ. 31-ე წუთზე „ლაჟვარდოვნების" რომენ პიტო უხეშობისთვის გააძევეს და კაცნაკლულები რაღას გახდებოდნენ.

ნიცელებმა მასპინძელთა ფეხთამტვრევა მატჩის ბოლომდე გააგრძელეს, თუმც მსაჯისგან მეტად აღარ დასჯილან, „ლიონის" მწვრთნელ პოლ ლე გუენს კი სამი ტრავმირებული ფეხბურთელის შეცვლა მოუხდა. სიდნეი გოვუს, ედმილსონისა და პეგი ლუინდულას თამაში მიუნხენში საეჭვოა.

„ბორდოს" ახალმა თავკაცმა მიშელ პავონმა ლიგაში პირველი გამარჯვებით გაიხარა. ჟირონდელებმა „მარსელს" სძლიეს.

მასპინძელთა თავდამსხმელმა ჟან კლოდ დარშევილმა გაცილებით მეტი ხელსაყრელი მომენტი შექმნა, ვიდრე სტუმართა მოიერიშეებმა. პირველი ტაიმის მიწურულს მარსელელებმა იძალეს. მეტოქის ნახევარზე თარეში რომ გაუტკბათ, სწორედ მაშინ გამოტყვრა დარშევილი და ვედრან რუნიეს ბურთი თავს ზემოთ საგოლედ გადაავლო.

მიშელ პავონი სამ ქულას დაცვის გაძლიერებით გაუფრთხილდა, ხოლო ალენ პერენმა შეტევას მარლე-დროგბას წყვილი შეაშველა.

დიდიე დროგბამ, შესაძლოა, შეცვლაზე თამაში ითაკილა, თორემ მისგან უხეშობა ჯერ არ გვინახავს. მარსელელთა მთავარმეგოლემ მოედანზე ექვსი წუთი დაჰყო და მეტოქის დაუნდობლობისთვის მსაჯმა წითელი ბარათით უკანვე გააბრუნა. მალე მას ფილიპ კრისტენვალიც მიჰყვა და ალენ პერენს თამაშის გადარჩენის შანსი აღარ დარჩა.

„მონაკოსთან" ორბურთიანი სხვაობით მარცხის მიუხედავად „ლე მანმა" ჩემპიონატში ალბათ ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი გამართა. მასპინძლებმა ლიგაში უსუსტესს მორიენტესის ზუსტი თავური შეხვედრის დასაწყისშივე დაახვედრეს. სწრაფმა გოლმა „სამეფო კარის" ფეხბურთელები მოადუნა, სტუმრები კი გაახელა. მათ დანიელ კუზინისა და ლორენ პეირელადის წყალობით ანგარიშს სენსაციის სახე მისცეს.

ლემანელთაგან განსაკუთრებით კუზინი გამოირჩეოდა, რომლის გადამეტებულმა მონდომებამ საბოლოოდ ყველაფერი ყირამალა დააყენა. პირველი ტაიმის შუაწელშივე მან ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამით გალაღებულმა მონაკოელებმა მეორე ტაიმში სხვა სიჩქარეები ჩართეს და სკილაჩის გოლით დაწინაურდნენ. შეხვედრის მიწურულს „ლე მანს" კიდევ ერთი უბედურება დაეწია და ტაბან მოლეფეს ფეხიდან მათ კარში ბურთი მეოთხედ შევარდა.

ნანტელი ქომაგები გუნდის მთავარ მეკარე მიკაელ ლანდროს ნატრობენ და მისი შემცვლელი ვილი გრონდენის შეცდომებით „ერთობიან". „მონპელიესთან" სამი ისეთი გოლი გაუშვა, ლანდრო უეჭველად მოიგერიებდაო, აღნიშნავენ ფრანგი მიმომხილველები.

პირველივე წუთზე რუი პატაკამ გრონდენს სუსტად დარტყმული ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა და ამის შემდეგ მასპინძლებმა საქმე შესვენებამდე მოამთავრეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 12 | 8 | 3 | 1 | 24:12 | 27 |
| ლიონი | 12 | 7 | 3 | 2 | 23:8 | 24 |
| მარსელი | 12 | 8 | 0 | 4 | 19:10 | 24 |
| პსჟ | 12 | 6 | 2 | 4 | 16:11 | 20 |
| ნანტი | 12 | 6 | 1 | 5 | 13:11 | 19 |
| ლანსი | 12 | 6 | 1 | 5 | 9:15 | 19 |
| სტრასბური | 12 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 18 |
| მონპელიე | 12 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 18 |
| სოშო | 12 | 5 | 3 | 4 | 14:12 | 18 |
| ბასტია | 12 | 5 | 3 | 4 | 16:16 | 18 |
| ოსერი | 12 | 5 | 2 | 5 | 18:13 | 17 |
| ნიცა | 12 | 4 | 5 | 3 | 10:12 | 17 |
| ბორდო | 12 | 4 | 3 | 5 | 9:10 | 15 |
| მეცი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:11 | 14 |
| რენი | 12 | 3 | 5 | 4 | 9:9 | 14 |
| ლილი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:15 | 13 |
| აიაჩო | 12 | 3 | 4 | 5 | 11:15 | 13 |
| გენგამი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:18 | 11 |
| ტულუზი | 12 | 2 | 3 | 7 | 7:19 | 9 |
| ლე მანი | 12 | 0 | 4 | 8 | 5:25 | 4 |

**II დივიზიონი**

მე-10 ტური. კლერმონი — ლორიანი 0:4; ბეზანსონი — ამიენი 0:2; ანჟე — შატორუ 2:0; კაენი — ვალანსი 4:1; გრენობლი — ნანსი 2:3; ისტრი — გენიონი 2:1; ლავალი — სენტ ეტიენი 2:0; რუანი — სედანი 0:1; ტრუა — კრეტეი 0:0. *ნიორი — ლე აჟრი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*



ლიონი — ნიცა. ჯოვანი ელბერმა ნიცელებს გადაუარა




# КОНЕЦ ФИЛЬМА
## ვირმაც გაიგო მეტალურგია

### რუსეთი

**პრემიერლიგა. XXX ტური**

**რუბინი 3:2 ცსკა**
0:1 სკოტი (36ს.კ.), 1:1 რონი (73), 1:2 კირიჩენკო (78), 2:2 ბოიარინცევი (88), 3:2 ევსიკოვი (90)

**ლოკომოტივი 6:0 ურალანი**
1:0 იზმაილოვი (11), 2:0 ლოსკოვი (49), 3:0 ევსეევი (53), 4:0 იზმაილოვი (70), 5:0 ლოსკოვი (74პ), 6:0 ხოხლოვი (86)

**სპარტაკი 0:2 ტორპედო-მეტალურგი**
0:1 ბრაკამონტე (42პ), 0:2 მონარიოვი (87)

**სატურნი 1:3 ზენიტი**
0:1, 0:2, 0:3 არშავინი (3, 36, 45), 1:3 ჯ. ბაზაევი (90)

**ჩერნომორეცი 2:1 შინიკი**
1:0 სმირნოვი (3), 1:1 დაევი (44), 2:1 კამოლცევი (86)

**როტორი 1:0 კრილია სოვეტოვი**
1:0 ზელენოვსკი (15)

**დინამო 0:0 სპარტაკ-ალანია**

**როსტოვი 0:0 ტორპედო**

რუსეთის ჩემპიონატის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ერთ მატჩში ორივე გუნდის ფეხბურთელებმა საკუთარ კარში თითო ბურთი ჩაჭრეს. ყაზანურმა შეხვედრამ „რუბინს" ბრინჯაო მოუტანა, თუმც მრავალნი ეჭვობდნენ, ცსკა თამაშს დათმობსო. ეჭვი უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო, რადგან არმიელებმა ოქრო გაინაღდეს და სათათრეთში თავი რაღად უნდა შეეწუხებინათ? მით უმეტეს, „რუბინის" მოგების შემთხვევაში „ლოკომოტივს" მეოთხე ადგილი რჩებოდა და ცსკა შარშანდელისთვის შურისძიების უკეთეს შანსს ვერც ინატრებდა — „ლოკომოტივი" ინტერტოტოს თასზე!

ყაზანში პირველ ტაიმში მასპინძლებს არაერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ სტუმართა კონტრშეტევის შედეგად ლაიზანსის ჩაწოდებული ბურთი ანდრეას სკოტიმ საკუთარ კარში შეაგდო.

მთავარი ამბები მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე დაიწყო, მაშინ, როცა „ლოკომოტივი" მოსკოვში „ურალანს" უკვე 4:0-ს უგებდა და „რუბინს" მესამე ადგილს ართმევდა.

რონიმ პენალტით გაათანაბრა, მაგრამ კირიჩენკომ ცსკა უმალ დააწინაურა. ბოიარინცევმა შეხვედრის მიწურულს გაათანაბრა და მსაჯმაც იმდენი დაამატა, რომ მასპინძლებს გამარჯვება ბრძოლაში გამოეჭედათ. ჰოდა, მეხუთე დამატებულ წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ევსიკოვმა მუხლით საკუთარ კარში დაატუსაღა.

„ტორპედო-მეტალურგის" გადასარჩენად „სპარტაკმა" დაიჩოქა და სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს ლანძღვაც დასტყუა. სახალხო გუნდმა „მეტალურგებს" სამი ქულა აჩუქა და პრემიერლიგაში დატოვა.

მომავალი სეზონიდან ცსკა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს, „ზენიტი" და „რუბინი" უეფას თასზე, „ლოკომოტივს" ინტერტოტო ერგო, მაგრამ რკინიგზელებმა თუ იუკადრისეს, მაშინ ადგილს იაროსლავლის „შინიკს" დაუთმობენ.

რუსულ პრემიერლიგაში „ურალანს" და „ჩერნომორეცს" პერმის „ამკარი" და კრასნოდარის „ყუბანი" შეცვლიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 30 | 17 | 8 | 5 | 56:32 | 59 |
| ზენიტი | 30 | 16 | 8 | 6 | 48:32 | 56 |
| რუბინი | 30 | 15 | 8 | 7 | 44:29 | 53 |
| ლოკომოტივი | 30 | 15 | 7 | 8 | 54:33 | 52 |
| შინიკი | 30 | 12 | 11 | 7 | 43:34 | 47 |
| დინამო | 30 | 12 | 10 | 8 | 42:29 | 46 |
| სატურნი | 30 | 12 | 9 | 9 | 40:37 | 45 |
| ტორპედო | 30 | 11 | 10 | 9 | 42:38 | 43 |
| კრილია | 30 | 11 | 9 | 10 | 38:33 | 42 |
| სპარტაკი | 30 | 10 | 6 | 14 | 38:48 | 36 |
| როსტოვი | 30 | 8 | 10 | 12 | 30:42 | 34 |
| როტორი | 30 | 9 | 5 | 16 | 33:44 | 32 |
| ალანია | 30 | 9 | 4 | 17 | 23:43 | 31 |
| ტ. მეტალურგი | 30 | 8 | 5 | 17 | 25:39 | 29 |
| ურალანი | 30 | 6 | 10 | 14 | 23:47 | 28 |
| ჩერნომორეცი | 30 | 6 | 6 | 18 | 30:49 | 24 |

### ფინეთი

**თასის ფინალი**

ჰიკ 2:1დ.დ.(1:1) ალიანსი

### იაპონია

**თასის ფინალი**

კაშივა 0:4 ურავა

### გერმანია

**თასის 1/8 ფინალის წილისყრა**

ბაიერნი — ჰამბურგი; მიონხენგლადბახი — შტუტგარტი; ვერდერი — ჰერტა; ლიუბეკი — ფრაიბურგი; კიოლნი — ფიურტი; ჰოფენჰაიმი — ლევერკუზენი; რეგენსბურგი — დუისბურგი; ბრაუნშვაიგი — ალემანია
*მატჩები გაიმართება 2-3 დეკემბერს*

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## E ჯგუფი

### მანჩესტერი — რეინჯერსი
### პანათინაიკოსი — შტუტგარტი

## ფერგიუსონმა ცხრილი იცის

**2001 წლის** 17 ოქტომბერს „დეპორტივომ“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ სტუმრად დაამარცხა და მას შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში „ოლდ ტრეფორდზე“ სტუმრები აღარ გაახარეს.

დღეს გლაზგოს „რეინჯერსს“ რევანში კი სწყურია, მაგრამ ალექს მაკლიშის დანაკლისი საკმაოდ დიდია: ფერნანდო რიკსენი, კრისტიან ნერლინგერი, რონალდ დე ბური, სტივენ ტომპსონი და რობერტ მალკოლმი ტრავმირებულნი არიან. მიუხედავად ამისა, „რეინჯერსის“ მწვრთნელი მასპინძლებს უშეღავათო ბრძოლას ჰპირდება: „ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე გვაკლია, მაგრამ მანჩესტერში კიდევ უფრო მონდომებით ვითამაშებთ, ვიდრე „აიბროქსზე“.

ალექს ფერგიუსონს ცხრილი შეუსწავლია და თქვა: „რეინჯერსს“ მომავალ ტურში შტუტგარტში სტუმრობა ელის და ისინი იძულებულნი იქნებიან შემოგვიტიონ. შევეცდებით ეს ფაქტი საჩვენოდ გამოვიყენოთ, ცხრა ქულა მოვაქუჩოთ და ცხრილის თავში ადგილი შევინარჩუნოთ. იმედი მაქვს, რომ „პანათინაიკოსი“ ათენში გერმანელებს ფიცხელ ბრძოლას გაუმართავს და ქულებს დააკარგვინებს.“

„მანჩესტერს“ ოთხი დაშავებული ფეხბურთელი ჰყავს: პოლ სქოულზი, ვესლი ბრაუნი, ოლე გუნარ სოლსკიაერი და კლებერსონი, თუმც ამ დანაკლისს „პორტსმუთის“ დამარცხებაში ხელი არ შეუშლია. ფერგიუსონს ფილ ნევილის შემტევობა მოსწონებია და მას როი კინთან ერთად ნახევარდაცვის ცენტრში გამწესებას უპირებს.

ათენში „პანათინაიკოსს“ მთავარმეგოლე ემანუელ ოლისადებე კვლავ ვერ დაეხმარება, ისევე როგორც სიტირის კირიაკოსი. ბერძნები საამსეზონო ლიგაში პირველი გამარჯვებისთვის ფელიქს მაგათის გამართულ „შტუტგარტს“ შეეჭიდებიან, რომელსაც მხოლოდ ერთი მცველი, მარსელო ბორდონი დააკლდება.

**პაატა ძვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი — რეინჯერსი**

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფორჩუნი, ფ. ნევილი, კინი, გიგზი, ვან ნისტელროი, ფორლანი

**რეინჯერსი:** კლოსი, ხიზანიშვილი, მური, ბერგი, ბოლი, ვანოლი, ემერსონი, არტეტა, ლოვენკრანდსი, არველაძე, მოლსი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

**პანათინაიკოსი — შტუტგარტი**

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, გუმასი, ფისასი, ბასინასი, კონსტანტინიდისი, სანმარტიანი, მარიჩი, პაპადოპულოსი, კონსტანტინუ

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში, ჰელდტი, გლები, კურანი, საბიჩი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

## F ჯგუფი

### პორტუ — მარსელი
### პარტიზანი — რეალი

## ყვითელი სოუზა მენიუდან ამოიღეს

**„მარსელს“** პორტუგალიურ კლუბთან სტუმრად მხოლოდ ერთხელ უთამაშია და დამარცხებულა. ფრანგული კლუბის ვიზიტი დღეს მეორე იქნება.

„პორტუ“ შინ ხუთჯერ დახვედრია ფრანგებს და აქედან სამჯერ მოუგია.

„მარსელმა“ სეზონის დასაწყისთან შედარებით აშკარად უკლო. „სტრასბურთან“ (1:4) და „ბორდოსთან“ (0:1) წაგებამ ალენ პერენს საფიქრალი გაუჩინა, „პორტუ“ კი შარშანდელივით კარგად თამაშობს.

ჟოზე მაურინიუს მთავარი სადარდებელი დეკო სოუზაა, რომელიც „მარსელთან“ მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. მის ადგილს რუსი დმიტრი ალენიჩევი დაიკავებს. მარცხენა ნახევარმცველობა მარკო ფერეირა გაწევს, რომელიც სეზარ პეიშოტოს შეცვლის. სეზარს მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა და უკვე სამი თვეა, ექიმების ხელშია.

მეორე ნახევარმცველმა ფრანსისკო კოშტინიამ ჩემპიონატში ბოლო მატჩი გამოტოვა და ახლა ფრანგებთან დაბრუნდება.

სტუმრებს კაპიტანი, შვეიცარიელი ლეგიონერი ფაბიო სელესტინი არ ეყოლებათ. ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ ეგვიპტელი მიდოც არ იქნება, რომლის გარჯითაც პერენი უკმაყოფილოა. არადა, არაბმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო.

ბელგრადს „პარტიზანი“ „რეალს“ მადრიდში ეომა და ახლა უფრო დიდ გულზეა. მით უმეტეს, რომ შინ ესპანური გუნდები სამივე საევროთასო შეხვედრაში დაუმარცხებია.

„სამეფო“ კლუბი სერბეთში სამჯერ ყოფილა და სამივეჯერ ხელმოცარული დაბრუნებულა.

მასპინძლებს ნაკრების წევრები: ჩირლოვიჩი და მეკარე კრალო ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან. სამაგიეროდ, ვლადიმირ ივიჩი და ნიგერიელი მცველი ტარიბო ვესტი გამოკეთდნენ და ითამაშებენ.

მადრიდის „რეალის“ ყველა „ვარსკვლავი“ ხუთივე ქიმით ციმციმებს და ჯანს არ უჩივის.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

#### სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ — მარსელი**

**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, მანიშე, კოშტინია, ალენიჩევი, მ. ფერეირა, მაკარტი, დერლეი სილვა

**მარსელი:** რუნიე, ბეიე, ვან ბუიტენი, კრისტენვალი, პერესი, ჰემდანი, იოჰანსენი, მერიემი, ვახოუშეკი, დროგბა, მარლე

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

**პარტიზანი — რეალი**

**პარტიზანი:** პანტიჩი, სავიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, მალბასა, ვესტი, დულიაი, ნადი, ილიჩი, დრულოვიჩი (ან რჟასა), დელიბაშიჩი, ილიევი

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ელგერა, ბექემი, ზიდანი, რაული, რონალდო

მსაჯი: კოსიმო ბოლონინო (იტალია)

## G ჯგუფი

### ლაციო — ჩელსი
### ბეშიქთაში — სპარტა

## ძველი ბიჭების დაბრუნება

**სტამბოლური** დერბის შემდეგ („ბეშიქთაში“ — „გალათასარაი“) „შავი არწივი“ პრაღის „სპარტას“ უმასპინძლებს, რომელიც გასულ უქმეებზე მაჩანჩალა „ყლინთან“ სტუმრად დამარცხდა.

მირჩა ლუჩესკუს ილჰან მანსიზის დაბრუნება ახარებს. ილჰანი ლონდონში, „ჩელსისთან“ მატჩში გააძევეს და ერთი შეხვედრა გამოტოვა.

თურქთა გამთამაშებელი სერგენ იალჩინი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. მან წინა ტურში პრაღაშიც ითამაშა, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო. სერგენი და ძაგო რუმინელმა მწვრთნელმა „გალათასარაისთან“ დაასვენა.

„ბეშიქთაში“ დღემდე ჩეხურ კლუბებს შინ სამჯერ შეხვედრია. მასპინძლებმა ერთხელ იმარჯვეს, ორჯერ კი დამარცხდნენ. „შავ არწივს“ ბოლო ხუთ საშინაო მატჩში ფრედ არ უთამაშია.

ლონდონის „ჩელსი“ ხუთჯერ სწვევია იტალიას, მაგრამ აპენინებიდან მხოლოდ სამი ფრე და ორი მარცხი წაუღია. „არისტოკრატებს“ იოლი გასეირნება არც ამჯერად ელით. ნაცნობ ქალაქს ხუან სებასტიან ვერონი და ერნან კრესპო იხილავენ. ვერონი სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნება, კრესპომ კი გოლებს მოუკლო და მას ალბათ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი შეცვლის, რომელსაც ადრიან მუტუ შეუამხანაგდა.

ემანუელ პეტი, სელესტინ ბაბაიარო და მარიო სტანიჩი ტრავმირებულნი არიან. ისინი გუნდს რომში არ გაჰყვებიან, ისევე როგორც მარსელ დესაი. ფრანგი ცენტრალური მცველის გამოჯანმრთელებას საშველი არ დაადგა.

დაცვაში პრობლემები რობერტო მანჩინისაც აქვს.

ანჯელო პერუცის ნაცვლად კარში მატეო სერენი ჩადგება, იაპ სტამის ადგილს ფერნანდო კოუტუ დაიკავებს, დისკვალიფიცირებული მასიმო ოდოს კი ლუჩიანო ძაური შეცვლის.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლაციო — ჩელსი**

**ლაციო:** სერენი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ფ. კოუტუ, ძაური, ფიორე, დაბო, ალბერტინი, სტანკოვიჩი, კორადი, ს. ინძაგი

**ჩელსი:** კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, ვერონი, მუტუ, ჰასელბაინკი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

**ბეშიქთაში — სპარტა**

**ბეშიქთაში:** ო. კორდობა, ემრე აშიქი, ძაგო, გიარო, ტაიფური, ჯუნტი, იბრაჰიმი, სერგენი, პანჩუ, დობრა, ილჰან მანსიზი

**სპარტა:** ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, სიონკო, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა, ნემეცი, ჰობორსკი, კინცლი (ან გლუშკევიჩი)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

## H ჯგუფი

### სელტა — აიაქსი
### ბრიუგე — მილანი

## დალ ტომასონი მწვრთნელის თვალში დაბინავდა

**„მილანს“** ბელგიაში შვიდჯერ უთამაშია და მხოლოდ ერთხელ მოუგია, თუმც ამდენჯერვე დამარცხებულა, დანარჩენი მატჩები კი ფრედ დაუსრულებია. „შავ-წითლები“ ბოლო სამ საევროთასო გასვლით მატჩშიც მეტოქეებს ზედიზედ სამჯერ დაუზავდნენ.

„ბრიუგემ“ „სან სიროზე“ გამარჯვებით სახელი უკვე დაიგდო, თუმც იგივეს გამეორება ამჯერად ალბათ გაუჭირდება. ბელგიელებს მეკარე დენი ვერლინდენი და ფილიპ კლემენტე ტრავმირებული ჰყავთ. ამ უკანასკნელის თამაში საეჭვოა. ვერლინდენმა კი ჩემპიონატის მატჩი „ლოკერენთან“ გამოტოვა და „ბრიუგემ“ ის შეხვედრა 0:2 დათმო. ფილიპ კლემენტეს სავარაუდოდ უკრაინელი სერგეი სერებრიანიკოვი შეცვლის.

„მილანის“ თავდასხმას ფილიპო ინძაგი ტრავმის გამო ვერ დაეხმარება და მის ნაცვლად იონ დალ ტომასონი ითამაშებს, რომელიც „იუვენტუსის“ კარში გატანილი გოლის გამო კარლო ანჩელოტის თვალში ძალიან ამაღლდა. დანიელი ანდრეი შევჩენკოს შეუწყვილდება და ორივეს ზურგიდან ბრაზილიელი კაკა დაეხმარება. ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ „შავწითლებს“ ჯენარო გატუზო დაუბრუნდებათ.

ვიგოს „სელტას“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი გამარჯვება სწყურია და „აიაქსის“ შემყურე სამი ქულა ელანდება. ვიგოელებმა ისე თუ ითამაშეს, როგორც გასულ უქმეებზე „რასინგთან“, მოგებაზე არც უნდა იოცნებონ. „მართალია, „აიაქსს“ ოთხი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ რონალდ კუმანის გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია. ამსტერდამელებს ვან დამი, სტივენ პიენაარი, ჯონ ობრაიენი და ჰატემ ტრაბელსი არ ეყოლებათ.

მასპინძლებს მოკეთებული ხუანფრანი დაუბრუნდებათ, მაგრამ ედუარდო ბერიზოს და ხოსე იგნასიოს მოისაკლესებენ.

**გიორგი მუშკაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| სელტა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სელტა — აიაქსი**

**სელტა:** პინტუ, ანხელი, კასერესი, სერხიო, სილვინიო, ხესული, ლუქსენი, ხანდრო, ხუანფრანი, მოსტოვოი, მილოშევიჩი

**აიაქსი:** ლობონტი, დე იონგი, ესკუდე, გრიგერა, მაქსველი, ჰეიტინგა, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი, იბრაჰიმოვიჩი, სონკი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**ბრიუგე — მილანი**

**ბრიუგე:** ვერლინდენი, დე კოკი, ბ. მარტენსი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, ჩეჰი, გვოზდენოვიჩი, სერებრიანიკოვი, მენდოსა, ს. მარტენსი

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ტომასონი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**ინგლისი**
**I დივიზიონი. VI ტური**
**5 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 014 | ქოვენტრი-ბრედფორდი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2,02 |

**ინგლისი**
**I დივიზიონი. XIII ტური**
**4 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 015 | გილინგემი-სანდერლენდი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.45 | 016 | პრესტონი-უოტფორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 017 | შეფილდი-კრიუ | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 23.45 | 018 | უოლსოლი-ნოტინგემი | 2.5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. X ტური**
**5 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 042 | კლაიდი-ინვერნესი | 2.3 | 3.4 | 2.6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |

**გერმანია**
**ბუნდესლიგა. XII ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 064 | ჰამბურგი-მიუნხენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 065 | ბოხუმი-კიოლნი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 066 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 067 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 068 | ჰანოვერი-ვერდერი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 18.30 | 069 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 18.30 | 070 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 071 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1,65 | 3,4 | 5.0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 20.30 | 072 | ლევერკუზენი-შალკე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

**იტალია**
**სერია A. IX ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 110 | სამპდორია-ემპოლი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 111 | ბრეშა-ბოლონია | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1.31 | 1,61 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 112 | ინტერი-ანკონა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 113 | ინტერი-ანკონა | 0:1 | 1.6 | 3,2 | 3,6 | | |
| 18.00 | 114 | უდინეზე-იუვენტუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1.02 | 1,15 | 2,75 |
| | 115 | უდინეზე-იუვენტუსი | 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,7 | | |
| 18.00 | 116 | პარმა-მილანი | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 18.00 | 117 | პერუჯა-ლეჩე | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1.18 | 1.33 | 1,68 |
| 18.00 | 118 | რეჯინა-მოდენა | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 18.00 | 119 | სიენა-კიევო | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.30 | 120 | რომა-ლაციო | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |

**ესპანეთი**
**I დივიზიონი. XI ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 161 | დეპორტივო-სოსიედადი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1.09 | 1,22 | 2,1 |
| 22.30 | 162 | სარაგოსა-სელტა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.30 | 163 | ბილბაო-ესპანიოლი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 164 | ალბასეტე-მალაგა | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 20.00 | 165 | ოსასუნა-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 20.00 | 166 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 167 | მაიორკა-მურსია | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 168 | ვალენსია-რასინგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 169 | ვალენსია-რასინგი 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,6 | | | |
| 22.00 | 170 | ბარსელონა-ბეტისი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 24.00 | 171 | სევილია-რეალი | 4,0 | 3.2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |

**საფრანგეთი**
**I დივიზიონი. XIII ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 187 | ნიცა-ბასტია | 1.85 | 3.1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 188 | ლე მანი-მეცი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 189 | ნანტი-მსჟ | 2.25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 23.00 | 190 | რენი-ლილი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 191 | აიაჩო-მონაკო | 3,2 | 3,1 | 2,2 | 1,57 | 1,3 | 1,28 |
| 21.00 | 192 | ოსერი-გენგამი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.00 | 193 | ლანსი-მონპელიე | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 21.00 | 194 | სოშო-ტულუზი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 21.00 | 195 | სტრასბური-ბორდო | 2,1 | 3.1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 24.00 | 196 | მარსელი-ლიონი | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |

**ჰოლანდია.**
**I დივიზიონი. XI ტური**
**7 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 234 | ვიტესი-ტილბურგი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 235 | როდა-ტვენტე | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.30 | 236 | პსვ-როზენდალი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 237 | პსვ-როზენდალი 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |
| 22.30 | 238 | ჰერენვენი-ზვოლე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 239 | ჰერენვენი-ზვოლე 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 240 | ბრედა-ალკმაარი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 241 | ვოლენდამი-ფეიენოორდი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 17.30 | 242 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 17.30 | 243 | უტრეხტი-ვალვაიკი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 244 | დენ ჰააგი-აიაქსი | 7,0 | 3,8 | 1,45 | 2,46 | 1,2 | 1,04 |

**ბელგია.**
**I დივიზიონი. XII ტური**
**7 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 258 | გენტი-გენკი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 259 | ვესტერლოო-მუსკრონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.00 | 260 | ჰეუსდენი-ბეერსხოტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 261 | ლუვიერი-ლოკერენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 23.00 | 262 | ანტვერპენი-სერკლი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 23.00 | 263 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 264 | ბევერენი-მონსი | 2.0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.00 | 265 | ბრიუგე-შარლერუა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 266 | ბრიუგე-შარლერუა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 23.00 | 267 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**ავსტრია**
**ბუნდესლიგა.**
**XVII ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 281 | ბრეგენცი-პაშინგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 282 | მატერსბურგი-გრაცერი | 3,2 | 3,3 | 2,1 | 1,62 | 1,26 | 1,28 |
| 18.30 | 283 | შტურმი-ადმირა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 284 | აუსტრია-ზალცბურგი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 285 | აუსტრია-ზალცბურგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.40 | 286 | კერნტენი-რაპიდი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |

**დანია. სუპერლიგა. XVII ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 298 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 299 | ოლბორგი-ნორდშელანდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.00 | 300 | ესბიერგი-ჰერფოლგე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 301 | ესბიერგი-ჰერფოლგე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 18.00 | 302 | ოდენსე-ბრონდბიუ | 1,3 | 4,8 | 8,0 | 1,02 | 1,11 | 3 |
| | 303 | ოდენსე-ბრონდბიუ 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 | | | |
| 18.00 | 304 | ვიბორგი-ფრემი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 20.35 | 305 | ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |

**ნორვეგია. პლეი-ოფი**
**10 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 317 | სანდეფიორდი-ვოლერენგა | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |

**ირლანდია**
**პრემიერლიგა. XXXI ტური**
**4 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 318 | უოტერფორდი-უკდ | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.45 | 319 | შელბურნი-ბოჰემიანსი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 320 | კორკი-ლონგფორდი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 23.45 | 321 | დერი-სტ.პატრიკსი | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |

**თურქეთი**
**სუპერლიგა. XII ტური**
**7 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 342 | ტრაბზონი-ბურსა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 343 | ტრაბზონი-ბურსა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 344 | ადანა-სებასი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 15.30 | 345 | კონია-სამსუნი | 1,9 | 3,4 | 3,5 | 1,21 | 1,23 | 1,72 |
| 22.00 | 346 | ფენერბაჩე-რიზე | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 347 | ფენერბაჩე-რიზე 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 348 | ელაზიგი-ისთანბული | 2,9 | 3,4 | 2,2 | 1,56 | 1,25 | 1,33 |
| 15.30 | 349 | დიარბაქირი-მალათია | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 15.30 | 350 | გაზიანთეპი-დენიზლი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 351 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 3,6 | 3,4 | 1,85 | 1,74 | 1,22 | 1,19 |
| 22.00 | 352 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 353 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,6 | | | |

**სლოვაკეთი**
**I ლიგა. XV ტური**
**8 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 376 | პუხოვი-სლოვანი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 16.30 | 377 | რუჟომბეროკი-ჟილინა | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 16.30 | 378 | ტრენჩინი-დუბნიცა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 16.30 | 379 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,19 | 1,25 | 1,64 |

**9 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 380 | ტრნავა-პეტრჟალკა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |

**პოლონეთი. I ლიგა. VII ტური**
**4 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 417 | პოლონია-ოდრა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |

**ბრაზილია.**
**სერია A. XXXXII ტური**
**5 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 437 | ჟუვენტუდე-კრიციუმა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 02.30 | 438 | ინტერნასიონალი-ფორტალეზა | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 02.30 | 439 | პარანა-ფიგეირენსე | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 440 | პაისანდუ-ვასკუ და გამა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 03.40 | 441 | სანტოსი-ვიტორია | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 442 | სანტოსი-ვიტორია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 03.40 | 443 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 03.40 | 444 | კურიტიბა-კორინთიანსი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 03.40 | 445 | კრუზეირო-გრემიო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 446 | კრუზეირო-გრემიო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |

**6 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.30 | 447 | გოიასი-ატლეტიკო პრ | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 03.30 | 448 | ბაია-პონტე პრეტა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 03.40 | 449 | გუარანი-სან კაეტანო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 03.40 | 450 | ფლამენგო-ატლეტიკო მგ | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

**მექსიკა. აპერტურა. VI ტური**
**4 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06.45 | 515 | ტიგრესი-ტოლუკა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამერიკა. პლეი ოფი.** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 06.30 | 529 | კოლორადო-კანზასი | 2,0 | 3,2 | 3.3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.15 | 587 | ბოდიო გლიმტი-როზენბორგი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 602 | პანათინაიკოსი-შტუტგარტი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 23.45 | 603 | მანჩესტერი-რეინჯერსი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| 23.45 | 604 | პორტუ-მარსელი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.45 | 605 | პარტიზანი-რეალი | 5,3 | 3,5 | 1,6 | 2,1 | 1,22 | 1,09 |
| 23.45 | 606 | ლაციო-ჩელსი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 23.45 | 607 | ბეშიქთაში-სპარტა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.45 | 608 | სელტა-აიაქსი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 609 | ბრიუგე-მილანი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 610 | სელტიკი-ანდერლეხტი | 1,65 | 3.4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.45 | 611 | ბაიერნი-ლიონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 612 | ინტერი-ლოკომოტივი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 23.45 | 613 | არსენალი-დინამო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.45 | 614 | მონაკო-დეპორტივო | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 23.45 | 615 | პსვ-აეკ | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.45 | 616 | ოლიმპიაკოსი-გალათასარაი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 23.45 | 617 | სოსიედადი-იუვენტუსი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **II ეტაპი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 618 | შახტიორი-დინამო(ბქ) | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1.25 | 1,88 |
| 19.45 | 619 | გაზიანთეპი-ლანსი | 2,35 | 3,1 | 3,0 | 1,33 | 1,31 | 1,52 |
| 20.00 | 620 | სლავია-ლევსკი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 20.30 | 621 | დინამო(ზ)-დნიპრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 622 | შალკე-ბრონდბიუ | 1,6 | 3.5 | 5.3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.30 | 623 | ბორდო-ჰარტსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 21.30 | 624 | უტრეხტი-ოსერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1.28 | 1.33 |
| 21.30 | 625 | ვალერენგა-ვისლა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 626 | გენჩლერბირლიგი-ხალმსტადი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 22.00 | 627 | პანიონიოსი-ბარსელონა | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 23.00 | 628 | ვილიარეალი-ტორპედო | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1.03 | 1.17 | 2,6 |
| 23.10 | 629 | სტიაუა-ლივერპული | 3,1 | 3.2 | 2,2 | 1,57 | 1.28 | 1,3 |
| 23.15 | 630 | კოპენჰაგენი-მალიორკა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.15 | 631 | პარმა-დებრეცენი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 23.30 | 632 | დორტმუნდი-სოშო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 23.30 | 633 | ბაზელი-ნიუკასლი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.30 | 634 | ზალცბურგი-პარმა | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1.24 | 1,18 |
| 23.45 | 635 | ფეიენოორდი-ტეპლიცე | 1.5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2.31 |
| 23.45 | 636 | პერუჯა-არისი | 1,35 | 4.2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 24.00 | 637 | რომა-ჰაიდუკი | 1.2 | 5,3 | 12.5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 24.00 | 638 | სიტი-გროცლინი | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 01.00 | 639 | ბენფიკა-მოლდე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 01.00 | 640 | ვალენსია-მაკაბი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3.72 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1001 | რეინჯერსი-დალასი | 2,35 | 3,6 | 2,3 | 1,42 | 1,16 | 1,4 |
| 04.00 | 1002 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 1,9 | 3,5 | 3,1 | 1,23 | 1,17 | 1,64 |
| 04.30 | 1003 | მონრეალი-ედმონტონი | 2,2 | 3,6 | 2,45 | 1,36 | 1,15 | 1,45 |
| 04.30 | 1004 | ტორონტო-პიტსბურგი | 1,65 | 3.8 | 3,8 | 1.15 | 1,15 | 1,9 |
| 05.00 | 1005 | სტ.ლუისი-ანაჰაიმი | 1,7 | 3,8 | 3,5 | 1,17 | 1,14 | 1.82 |
| 06.00 | 1006 | კალგარი-დეტროიტი | 2,6 | 3,6 | 2,1 | 1,5 | 1,16 | 1,32 |
| 06.00 | 1007 | კოლორადო-მინესოტა | 1,65 | 3.6 | 4,0 | 1,13 | 1,16 | 1,89 |
| | | **ჰოკეი. ევროტური (ფინეთი)** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 1051 | ფინეთი-რუსეთი | 1.85 | 4,4 | 2,7 | 1,3 | 1,09 | 1,67 |
| 22.00 | 1052 | შვედეთი-ჩეხეთი | 1,9 | 4,4 | 2,6 | 1.32 | 1,09 | 1,63 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 1111 | ესტუდიანტესი-მანრესა | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 04.00 | 1139 | ინდიანა-დენვერი | 1,2 | 10,0 | 3,6 | 1,07 | 1 | 2,64 |
| 04.30 | 1140 | ნიუ ჯერსი-პორტლენდი | 1,3 | 10,0 | 2,8 | 1,15 | 1 | 2.18 |
| 05.00 | 1141 | მილუოკი-ლეიკერსი | 3,1 | 10,0 | 1,25 | 2,36 | 1 | 1,11 |
| 05.30 | 1142 | სან ანტონიო-მაიამი | 1,07 | 10,0 | 6,0 | 1 | 1 | 3,75 |
| | | **რაგბი** | | | | | | |
| | | **მსოფლიოს თასი.** | | | | | | |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 11.30 | 1201 | ახალი ზელანდია-ს.აფრიკა | 1,12 | 20,0 | 5,3 | 1,06 | 1 | 4,18 |
| | 1202 | ახალი ზელანდია-ს.აფრიკა | 0:17 | 1,85 | 14,0 | 1,85 | | |
| 14.00 | 1203 | ავსტრალია-შოტლანდია | 1,01 | 30,0 | 12,5 | 1 | 1 | 8,82 |
| | 1204 | ავსტრალია-შოტლანდია | 0:34 | 1,85 | 14,0 | 1,85 | | |
| | | **9 ნოემბერი** | | | | | | |
| 11.30 | 1205 | საფრანგეთი-ირლანდია | 1,25 | 20,0 | 3,8 | 1,17 | 1 | 3,19 |
| | 1206 | საფრანგეთი-ირლანდია | 0:10 | 1,85 | 14,0 | 1,85 | | |
| 14.00 | 1207 | ინგლისი-უელსი | 1,01 | 30,0 | 12,5 | 1 | 1 | 8,82 |
